ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №3. მარტი. 2013.

რატომ ვირჩევთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს?

წარსულის პატივისცემით – უკეთესი მომავლისკენ!

12 მარტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში აბიტურიენტებისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისთვის ღია კარის დღე და კონცერტი გამართა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა აბიტურიენტებს გააცნეს უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამები, სტიპენდიები, პრიორიტეტები, საუნივერსიტეტო ცხოვრება, სწავლის პირობები, გაცვლითი პროგრამები და სიახლეები. აბიტურიენტებს ბსუ-ს საინფორმაციო ბუკლეტებთან ერთად სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცეს.

წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 40-მდე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 1075 პირველკურსელი ჩაირიცხება. მათგან ექვსი პროგრამა სრულად დაფინანსდება და სწავლება უფასო იქნება. ეს პროგრამებია: ქართული ფილოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა ასტრონომიით, ბიოლოგია, აგრონომია და მშენებლობა.

„უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ქვეყნის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა და სახელმწიფოს განვითარების ხელშეწყობა, რასაც განსაზღვრავენ უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური კადრები.

თქვენ ჩვენს უნივერსიტეტში მიიღებთ საჭირო ცოდნას, რომელიც აუცილებელია მომავლის სპეციალისტისათვის. ამის გარანტი უნივერსიტეტია 78-წლიანი გამოცდილებით, პროფესურითა და საერთაშორისო ურთიერთობით.

სწორედ, ამიტომ გირჩევთ არჩევანი გააკეთოთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე“, — განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ალიოშა ბაკურიძემ.**

— კითხვაზე, თუ რატომ უნდა აირჩიონ აბიტურიენტებმა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში, **ირაკლი ბარამიძემ** აღნიშნა, რომ „ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის სწორედ ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება,

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ანონსი:

„კომპანია, როგორც ეკონომიკური სისტემა, დამოკიდებულია მმართველობითი აღრიცხვის და ანალიზის საკუთარ სისტემაზე, რომელიც მას საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფს. მმართველობითი აღრიცხვის და ანალიზის სისტემის განვითარება უნდა პასუხობდეს კომპანიაში მიმდინარე ცვლილებებს. სააღრიცხვო ინფორმაციის ფორმირების სპეციფიკა განპირობებულია ორგანიზაციის შიდა გარემოს მახასიათებლებით და თავისებურებებით. კონკურენტული ეკონომიკური გარემო არსებით გავლენას ახდენს ინფორმაციულად დასაბუთებულ ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებაზე“. **– 4 გვ.**

„ლექციებს დიდი ინტერესით ვისმენდით. გვასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები: ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ნელი დუმბაძე, ნადია საბაშვილი, შუქრი ნიჟარაძე, იური სიხარულიძე, გრიგოლ ბაბილოძე, მემედ სტამბოლიშვილი, კოტე ბოლქვაძე... ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული იყო „დამწყებ პოეტთა, პროზაიკოსთა და კრიტიკოსთა წრე“. ხელმძღვანელი იყო პროფესორი ალექსანდრე ჩავლეიშვილი. სხდომებზე წრის წევრთა შემოქმედების ნიმუშები განიხილებოდა. ამ წრეში დაფრთიანდნენ ცნობილი პოეტები – ზურაბ გორგილაძე, ნოდარ ჯალაღონია, გული სალუქვაძე, ცისანა ანთაძე, შოთა ზოიძე... მეც ვწერდი ლექსებსა და ნოველებს. ზოგჯერ ახლაც მესტუმრება ხოლმე მუზა და პოეზიის სამყაროში გამასეირნებს. ვფიქრობ, შევკრა ისინი ერთ პატარა კრებულად და მოვიხადო ვალი მუზის წინაშე, რომელიც თითქოს მაძალებს ამას. ბევრი ცრემლნარევი ლექსი დამაწერინა ისტორიულ ტაო–კლარჯეთთან დაკავშირებულმა სევდამ, მუჰაჯირი ქართველების გულდათუთქულმა ქართულმა“. **– 6 გვ.**

„ნიუ იორკი არის ქალაქი, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს ამერიკული ცხოვრების რიტმს და გაჯადოებს თავისი გრანდიოზულობით. მას არასოდეს სძინავს, შეგიძლია ნებისმიერ დროს ნებისმიერი სურვილი აიხდინო და დროის შეზღუდულობა არ იგრძნო. მანჰეტენი ნიუ იორკის გულია (იგი ევროპელებმა სულ რაღაც 25 დოლარად იყიდეს ინდიელებისაგან), თაიმ სქუერზე ხვდები, თუ რა შეუძლია ადამიანის გონებისა და ტექნოლოგიის სინთეზს. ქალაქის დაჩოქება და ხალხის დაშინება სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ, პირიქით 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ აქ უფრო მეტი ადამიანი ჩამოვიდა საცხოვრებლად და ტყუპების ადგილას, დაღუპულთა მემორიალის გვერდით, დასტურად იმისა, რომ ქალაქი ძველი ცხოვრებით აგრძელებს ცხოვრებას, უფრო გრანდიოზული ბიზნესცენტრი შენდება. თითქოს იარები მოუშუშდა, მაგრამ როდესაც ტყუპების წინ მდგარ წმინდა პეტრეს ტაძარში შედიხარ, კიდევ ერთხელ უბრუნდები წარსულს და სასწაულებისა გჯერა. ეს ტაძარი მხოლოდ რამდენიმე მეტრით გახლდათ დაშორებული ტყუპებისაგან და როდესაც აფეთქებამ ირგვლივ ყველაფერი აღგავა პირისაგან მიწისა, როდესაც ქვა ქვაზე დადუღდა, ტაძარი შეურყევლად იდგა, ერთი მინაც კი არ ჩამსხვრეულა და იგი იმ ტრაგიკული დღეების მემორიალად იქცა“. **– 9 გვ.**

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მენეჯმენტის მიმართულებით ლექციებს კითხულობენ მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. სისტემატურად ხდება ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადება და მათი სტაჟირება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში, დამყარებულია კავშირები უცხოეთის სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებთან, ხორციელდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები, აკადემიური პერსონალი სისტემატურად იღებს მონაწილეობას და იღრმავებს ცოდნას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში“. **– 10 გვ.**

ფრანკოფონიის დღეები

ფრანკოფონიის დღეების ეგიდით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსი ჩატარდა ფრანგულ ენაში. ტესტირებაში ბსუ-ს სტუდენტებთან ერთად აჭარის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კონკურსის მეორე ეტაპი 22 მარტს, 15:00 საათზე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართება. გამარჯვებულ კონკურსანტებს სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემათ. კონკურსი მიზნად ისახავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ფრანგული ენის პოპულარიზაციას.

ღია კარის დღეები - 2013

პროექტ „უნივერსიტეტი საზოგადოებისათვის“ ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა აჭარის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონების საჯარო და კერძო სკოლების მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისათვის ღია კარის დღეები გამართეს. პროექტის მონაწილეებმა აბიტურიენტებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები, სტიპენდიები, პრიორიტეტები, საუნივერსიტეტო ცხოვრება, სოციალური პროგრამები, სწავლის პირობები, უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამები და სიახლეები გააცნეს. ასევე უპასუხეს მომავალი სტუდენტების აქტუალურ შეკითხვებს და ბსუ-ს საინფორმაციო ბუკლეტებთან ერთად სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურ კონსულს ჰუსეინ ნიზამ ოღლი ნაჯაფოვს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ბათუმში აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურ კონსულს- ჰუსეინ ნიზამ ოღლი ნაჯაფოვს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. დიპლომატმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში. გენერალური კონსულის უშუალო ძალისხმევით 2012 წლის 9 ივნისს ბსუ-სა და ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის მემორანდუმი გაფორმდა. მისივე მხარდაჭერითა და ხელშეწყობით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაიხსნა აჭარისა და ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკების მეგობრობის აუდიტორია, დაარსდა „ჰეიდარ ალიევის წიგნადი ფონდი“. გასული წლის აგვისტოში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საზაფხულო სკოლაში ათი აზერბაიჯანელი სტუდენტი მონაწილეობდა, ოთხმა სტუდენტმა კი ერთსემესტრიანი საგანმანათლებლო პროგრამები გაიარა. ამჟამად გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბსუ-ს ოთხი სტუდენტი სწავლობს.

მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, ბათუმში აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური კონსული- ჰუსეინ ნიზამ ოღლი ნაჯაფოვი საზოგადოებრივ საწყისებზე კითხულობს სასწავლო კურსს: ,,საერთაშორისო ორგანიზაციები“. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტები პროფესიულ პრაქტიკას გადიან საკონსულოში.

ბათუმში აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური კონსულის- ჰუსეინ ნიზამ ოღლი ნაჯაფოვის ხელშეწყობით 2012 წლის ზაფხულში ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა 2 საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. მაისში დაგეგმილია ერთობლივი საერთაშორისო სიმპოზიუმის „ალი და ნინოს“ ჩატარება.

უნივერსიტეტის ღია კარის დღე ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში

ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ღია კარის დღე გამართა. აბიტურიენტები და საზოგადოების წარმომადგენლები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებს, სტიპენდიებს, საუნივერსიტეტო ცხოვრებას, სოციალურ, გაცვლით

პროგრამებსა და სიახლეებს გაეცნენ. 2013-2014 სასწავლო წელს ბსუ-ს 40-მდე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 1075 პირველკურსელი ჩაირიცხება. მათგან ექვსი სასწავლო პროგრამა (ქართული ფილოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა ასტრონომიით, ბიოლოგია, აგრონომია და მშენებლობა) სრულად დაფინანსდება. ღია კარის დღე კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა: ლუკა ზაქარიაძემ, თამუნა მიქელაძემ, თეონა ჩიტიშვილმა, სოფო პაპუაშვილმა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,ტბეთმა“, თანამედროვე ცეკვების ჯგუფმა ,,M style 13”-მა, ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერის ანსამბლებმა. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს, ტელეპროექტის ,,საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებულს, ლუკა ზაქარიაძეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოპულარიზაციისათვის დიპლომი გადასცა და სწავლის გადასახადისაგან გაათავისუფლა.

ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეხვედრა „ბსუ“-ს გამარჯვებით დასრულდა

ფუტსალის საუნივერსიტეტო ლიგის მორიგი შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში. ერთმანეთს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები დაუპირისპირდნენ. პირველობა ანგარიშით, 3:2 ბსუ-ს გამარჯვებით დასრულდა. 30 მარტს ბათუმისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების გუნდების შეხვედრა გაიმართება. საუნივერსიტეტო ლიგა ფუტსალში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით ტარდება.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა სტუდენტებისთვის ლექცია წაიკითხა

1921 წლის კონსტიტუციის მიღების 92 წლის აღსანიშნავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, გიორგი პაპუაშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს ლექცია წაუკითხა თემაზე: ,,1921 წლის კონსტიტუციის სამართლებრივი ასპექტები“. მოხსენებები წარმოადგინეს ასევე ბსუ-ს პროფესორებმა: ნუგზარ ფუტკარაძემ, მალხაზ ნაკაშიძემ და ოთარ გოგოლიშვილმა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: „1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით გათავალისწინებული ადამიანის ძირითად უფლებები“, „მმართველობის სისტემის ძირითადი თვისებები საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტუტუციის მიხედვით“ და „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმში 1921 წლის თებერვალ-მარტში“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ასევე გაიმართა ქვეყნის პირველი კონსტიტუციის მიღების ამსახველი ფოტოგამოფენა.

რატომ ვირჩევთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს?



(დასაწყისი პირველ გვერდზე)

რომელიც ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს და აძლევს სტუდენტებს შესაბამის ცოდნას. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს ბევრი გაცვლითი პროგრამა, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტებს დამატებითი გადამზადების შესაძლებლობა ექნებათ შესაბამის სფეროებში“.

თამარ ჯინჭარაძე საჩინოს საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეა. ღია კარის დღეზე მოსულ გოგონას არჩევანი სწორად აქვს გაკეთებული.

— აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძელებას შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რატომ?

— დიახ, ამ უნივერსიტეტის შესახებ ბევრი მსმენია, კარგი უნივერსიტეტია, ბევრი წარჩინებული ადამიანი აღიზარდა აქ და ვფიქრობ, რომ თუ მოვინდომებ, მეც კარგი სპეციალისტი გამოვალ.

— რომელ სპეციალობაზე აპირებთ სწავლის გაგრძელებას?

— არჩევანის წინაშე ვარ - ფილოლოგიურსა და ტურიზმის სპეციალობას შორის ვმერყეობ. ორივე მომწონს და ვნახოთ, ჯერ ზუსტად გადაწყვეტილი არა მაქვს. მიმაჩნია, რომ ორივე საინტერესოა.

ხვიჩა მამულაძე - XII კლასი:

— რა არის თქვენი დღევანდელი აქ მოსვლის მიზანი?

— ჩემთვის მთავარია სწავლა. ვიცი, რომ ბათუმის უნივერსიტეტი მთავარ აქცენტს სტუდენტის ხარისხიან განათლებაზე აკეთებს. მინდა მეტი გავიგო ამ უნივერსიტეტის შესახებ, მის საგანმანათლებლო პროგრამებზე, რათა შესაბამისი არჩევანი გავაკეთო.

— რომელ სპეციალობაზე აპირებთ სწავლის გაგრძელებას?

— ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მინდა ვისწავლო. მეგობრები ბევრ კარგ სიახლეს მეუბნებიან ამ უმაღლეს სასწავლებელზე და მინდა მეც აქ ჩავირიცხო. რაც შეეხება სამომავლო პროფესიას, ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ იმედი მაქვს, დღევანდელი პრეზენტაცია ამაში დამეხმარება.

პროექტის — „უნივერსიტეტი საზოგადოებისათვის“ ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ღია კარის დღეები უკვე გამართეს აჭარის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონის საჯარო და კერძო სკოლების მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისათვის.

სალომე მჟავანაძე,
ისტორიის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი

შეხვედრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან გიორგი თავამაიშვილთან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ედიშერ ჩავლეიშვილი და პროფესორ-მასწავლებლები აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს- გიორგი თავამაიშვილსა და მინისტრის მოადგილეს, ვალერი ბერაძეს შეხვდნენ. მხარეებმა ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების კონცეფცია განიხილეს. შეხვედრაზე სამინისტროსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2014 წლის პრიორიტეტების შემუშავებასა და აჭარაში სპორტის მასწავლებელთა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე იმსჯელეს.

უნივერსიტეტის სტუდენტი დარინა ცეცხლაძე საქართველოს ჩემპიონია მკლავჭიდში

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სამკურნალო საქმის სპეციალობის V კურსის სტუდენტი დარინა ცეცხლაძე საქართველოს ჩემპიონია მკლავჭიდში. საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის ორგანიზებით გამართულ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა. ბათუმელმა მკლავჭიდელმა გამარჯვება გოგონებს შორის 65-კილოგრამიან წონაში მოიპოვა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დარინა ცეცხლაძეს ულოცავს გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს.

ფილოლოგთათვის საჭირო წიგნი

გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატების – ნანა ცეცხლაძისა და მზია ხახუტაიშვილის საინტერესო და ყველა პროფესიის ადამიანისათვის საჭირო და სავალდებულო წიგნი – ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა, რომელიც ძირითადად განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის, მასწავლებელთათვის, ფილოლოგებისათვის, ჟურნალისტებისა და საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

სტილისტიკა მეტად აქტუალური ფილოლოგიური დისციპლინაა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს ღირებულება. პირიქით, რაც დრო გადის, მეტად გვჭირდება იგი, გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ,,უკეთესად თქმის ხელოვნებას“, რადგან სტილისტიკურ ხარვეზებს ვხვდებით სხვადასხვა ასაკისა თუ პროფესიის ადამიანთა მეტყველებაში. განსაკუთრებით თვალში საცემი და დასანანია ჟურნალისტთა მეტყველების გაუმართაობა.

,,სტილისტიკა“ მრავალმხრივი დანიშნულების წიგნია, რომელიც შედგება ექვსი თავისგან. პირველ თავში განხილულია ზოგადი სტილისტიკის საკითხები: სტილისტიკის მოკლე ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, საგანი და წყაროები, მიმართება სხვა დისციპლინებთან. აქვე გარკვეულია



სტილის რაობა, მისი თავდაპირველი და თანამედროვე მნიშვნელობანი; მოცემულია ენობრივი სტილის ბუნების გარკვევის ცდა; განსაზღვრულია ენობრივი და სტილისტიკური ნორმა, სტილისტიკური მინიმუმი და მაქსიმუმი.

მეორე თავი ეთმობა ფუნქციური სტილის დიფერენციაციის აუცილებლობას და სტილთაშორისი საზღვრების აღრევას; სტილის სახეობათა დახასიათებას სტილური ნიშნებითა და ხარვეზებით.

მესამე თავში განხილულია ლექსიკურ საშუალებათა (სინონიმის, ანტონიმის, დიალექტიზმის, არქაიზმის თუ სხვათა) გამომსახველობითი ფუნქციები და სტილისტიკური დანიშნულება ქართულში.

მეოთხე თავში მოცემულია გრამატიკული სტილისტიკის საკითხები: პარალელურ მორფოლოგიურ და სინტაქსურ საშუალებათა გამოყენება მეტი გამომსახველობის მისაღწევად.

მეხუთე თავში განხილულია მხატვრული სტილისტიკის საკითხები: ტროპის სახეების სტილისტიკური ფუნქციები; სტილისტიკური ფიგურები და მათი გამოყენება.

მეექვსე თავი ეთმობა ტიპობრივი შეცდომების ანალიზს. ცალკეული საკითხი განხილულია სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში, ახსნილია მათი გამომწვევი მიზეზები და მოცემულია თავიდან აცილების გზები.

წიგნი ავტორთა დიდი შრომის დასტურია. მასში, გარდა ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებიდან აღებული მასალისა, გვხვდება ჟურნალისტთა მეტყველებაში, ტელეგადაცემებსა და ქართული პრესაში არსებული ხარვეზები. წიგნს პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, რადგან ნაშრომის თითოეულ თავს ერთვის მრავალფეროვანი სავარჯიშოები, კითხვები და ტესტები. გვჯერა, რომ წიგნი ერთგულ სამსახურს გაუწევს ყველას, ვინც დარწმუნდება, რომ სტილისტიკის ცოდნა აუცილებელია მეტყველების კულტურის ასამაღლებლად, კომუნიკაციის გასაიოლებლად და მიზნის ადვილად მისაღწევადაც.

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

მმართველობითი აღრიცხვის სისტემა, როგორც სტრატეგიული რესურსი კონკურენტულ ბრძოლაში

კონკურენტული უპირატესობების მიღწევაში კომპანიის ერთ-ერთ სტრატეგიულ რესურსს წარმოადგენს მმართველობითი აღრიცხვის სისტემა თანამედროვე კომპანიები წარმოადგენენ განუსაზღვრელ გარემოში ფუნქციონირებად ღია ეკონომიკურ სისტემებს. საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომპანიის განვითარების წინასწარ განმსაზღვრელი გარემოს გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კონკურენცია. Mმკაცრი კონკურენტული ბრძოლის პირობებში წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭიროა ეფექტიანი სტრატეგია.

კომპანიის სტრატეგია – ესაა დეტალური ყოველმხრივი კომპლექსური გეგმა, რომელიც განკუთვნილია ორგანიზაციის მისიის განხორციელების და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

წარმატებული და შედეგიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება და რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ თვით კომპანიის შიგნით ოპტიმალური საინფორმაციო ბაზის არსებობისას.

სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც კომპანიას მდგრადი კონკურენტული უპირატესობების მიღწევის და კონკურენტული ბრძოლის პირობებში ღირსეული ფუნქციონირების საშუალებას აძლევენ, საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს *მმართველობითი აღრიცხვის და ანალიზის სისტემა*. მმართველობითი აღრიცხვის სისტემის, როგორც კონკურენტულ ბრძოლაში კომპანიის სტრატეგიული რესურსის მნიშვნელობის გადაფასება ძნელია.

ვიწრო გაგებით **მმართველობითი აღრიცხვა** ესაა იმ ოპერატიული ინფორმაციის დაგროვების, მიწოდების, დამუშავების და ანალიზის სისტემა, რომელიც სჭირდება კომპანიის მენეჯმენტს კომპანიის საქმიანობის დაგეგმვის, ანალიზისა და კონტროლისათვის, დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რესურსების ეფექტიანი გამოყენების და მათი აღრიცხვის სისრულის კონტროლის უზრუნველყოფისათვის და აგრეთვე გარე და შიდა მომხმარებლებისათვის ფინანსურ-ეკონომიკური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფართო გაგებით **მმართველობითი აღრიცხვა** – ესაა სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინფორმაციული საფუძველი.

მმართველობითი აღრიცხვის როლის კომპანიის სტრატეგიის საკვანძო საკითხების მხარეს გადაწევა წინასწარ განსაზღვრავს ფუნდამენტურ ცვლილებებს მმართველობითი აღრიცხვის არსის და კომპანიის მართვის სისტემაში მისი ადგილის გაგებაში (ნახ. 1).



ნახ. 1. მმართველობითი აღრიცხვის ადგილი ორგანიზაციის მართვის სისტემაში

მმართველობითი აღრიცხვის სისტემა კომპანიის მართვის სისტემის ძირითადი სტრუქტურული ბლოკებიდან (ზოგადი მართვის, ადმინისტრირების, ფინანსური მართვის, კადრების, წარმოების, მარკეტინგის, ინფორმაციული ტექნოლოგიების) შემოსვლადი ინფორმაციის განზოგადების, დამუშავების და ანალიზის საშუალებას იძლევა.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემა – კომპანიის მართვის, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული მართვის განუყოფელი კომპონენტია, რადგანაც მმართველობითი აღრიცხვის და ანალიზის ოპერატიული მონაცემების საფუძველზე კომპანიაში მიღებად ყველა მმართველობით გადაწყვეტილებებს გააჩნიათ გრძელვადიანი შედეგები და პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართულნი არიან კომპანიის სტრატეგიის რეალიზაციაზე. Uუფრო მეტიც, იმ საკითხთა წრეში, რომელთა მიხედვითაც ფორმირდება მმართველობითი ინფორმაცია, შედიან კომპანიის საქმიანობის ისეთი სტრატეგიული ასპექტები, როგორებიცაა ბიზნეს-გეგმების ფორმირება (ანუ ბიზნესის წარმოების სტრატეგია); დაგეგმვა, კონტროლი, საქმიანობის სახეობების გაფართოება ან შემცირება; რესურსების გამოყენების ნაყოფიერების და ეფექტიანობის ამაღლება; კომპანიის ღირებულების გადიდება.

მმართველობითი აღრიცხვის ოპტიმალური სისტემა, რომელიც მენეჯმენტს რელევანტური ფორმით აუცილებელი სააღრიცხვო და ანალიტიკური ინფორმაციის ოპერატიული მიღების საშუალებას აძლევს, წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიულ რესურსს და კომპანიას კონკურენტული უპირატესობებით უზრუნველყოფს შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

1) ხარჯების მართვა (დანახარჯების მართვა – კომპანიის ერთ-ერთი საკვანძო სტრატეგიული მიზანია; ხარჯების მინიმიზაცია და მათი გამჭირვალობის ხარისხის ამაღლება მმართველობითი აღრიცხვის და ანალიზის მონაცემების საფუძველზე – სერიოზული უპირატესობაა კონკურენტების წინაშე და გარე გარემოს მოთხოვნილებაზე პასუხი);

2) უახლესი ტექნოლოგიების და ინსტრუმენტარის დანერგვა (მმართველობითი აღრიცხვის საფუძველზე მიღებადი ინფორმაცია – კომპანიის შიდა პროდუქტია, რომელიც ჩამოყალიბებულია მისი სპეციფიკის მიხედვით. მენეჯმენტის მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების და კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე მიმართულების შემთხვევაში მმართველობითი აღრიცხვის სისტემა წარმოადგენს უნიკალურ კონკურენტულ უპირატესობას;

3) ძირითადი მმარრთველობითი ფუნქციების შესრულებისათვის ინფორმაციის ფორმირება (მმართველობითი აღრიცხვის სისტემა მიზნად ისახავს ძირითადი მმართველობითი ფუნქციების და მიზნების შესრულებისათვის საჭირო ფორმით ინფორმაციის ფორმირებას, სახელდობრ: შიდა ანგარიშგების და მისი ანალიზის ფორმირებისათვის; ფინანსების მართვისათვის; ხარჯების მართვისათვის; სტრატეგიული დაგეგმვისათვის; კორპორატიული ინვესტირებისათვის; ბიუჯეტირებისა და გარე მომახმარებლებისათვის ანგარიშგების ფორმირებისათვის).

ამრიგად, კომპანია, როგორც ეკონომიკური სისტემა, დამოკიდებულია მმართველობითი აღრიცხვის და ანალიზის საკუთარ სისტემაზე, რომელიც მას საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფს. მმართველობითი აღრიცხვის და ანალიზის სისტემის განვითარება უნდა პასუხობდეს კომპანიაში მიმდინარე ცვლილებებს. საღრიცხვო ინფორმაციის ფორმირების სპეციფიკა განპირობებულია ორგანიზაციის შიდა გარემოს მახასიათებლებით და თავისებურებებით. კონკურენტული ეკონომიკური გარემო არსებით გავლენას ახდენს ინფორმაციულად დასაბუთებულ ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება არა მხოლოდ მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ფორმირება, არამედ გამოყენებადი ინსტრუმენტების და მმართველობითი აღრიცხვის მეთოდების მუდმივი დახვეწა მიმდინარე გარე და შიდა ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და კონკურენტულ გარემოში გადარჩენის მიზნით.

ამჟამად არსებობს მმართველობითი აღრიცხვის მეთოდოლოგიური საფუძველზე მოთხოვნა ძირითადად უმსხვილესი სამრეწველო საწარმოების მიერ; შედარებით ნაკლები ხარისხით – ფინანსური და საკონსულტაციო მომსახურების გამწევი სტრუქტურების მიერ. სავაჭრო ორგანიზაციების, სამომხმარებლო სექტორის, მედია და ტელეკომუნიკაციური კომპანიების, ფარმაცევტული და სხვა კომპანიების მიერ მმართველობითი აღრიცხვის მეთოდოლოგია ჯერჯერობით უმნიშვნელო მოცულობით გამოიყენება და ნაკლებად სტრუქტურირებულია.

ბესიკ ბაუჩაძე, ასოცირებული პროფესორი

წიგნის „ტურიზმი: საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია“ წარდგინება გაიმართა



შოთა რუსთაველის დარბაზში ამერიკელი ავტორების: ბრენტ რითჩისა და ჩარლზ გელდნერის სახელმძღვანელოს „ტურიზმი: საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია“ პოპულარული ქართულენოვანი გამოცემის წარდგინება გაიმართა. წიგნი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტმა თარგმნისა და გამოცემის ექსკლუზიური უფლების საფუძველზე საქართველოში აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გამოსცა. სახელმძღვანელოს მეთორმეტე გამოცემა ტურიზმის ძირითად ცნებებსა და შესაძლებლობებს იკვლევს, მიუთითებს, როგორ შეიძლება იქცეს ტურიზმი ნებისმიერი ერის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორად. ყურადღება ეთმობა ტურიზმის გლობალურ ზეგავლენას როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროზე. წიგნი რეკომენდებულია ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის, ტურიზმის ინდუსტრიის კომპანიების მფლობელებისა და მენეჯერებისათვის, აგრეთვე ტურიზმით დაინტერესებული მკითხველისათვის.

სახელმძღვანელო „ტურიზმი: საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია“ დაწერილია ფართო, გლობალური ტერმინების გამოყენებით და განიხილავს ტურიზმის საფუძვლებს, პრაქტიკასა და მიდგომებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ დარგის წარმატებას. ტურიზმის წარმატებით განხორციელებისათვის მრავალი სხვადასხვა კომპონენტის უწყვეტი და თანმიმდევრული ერთობლივი ფუნქციონირებაა საჭირო, რათა შეიქმნას დადებითი ტურისტული შთაბეჭდილება. სახელმძღვანელო დაყოფილია ექვს ნაწილად. თითოეული განიხილავს ტურიზმის სხვადასხვა კომპონენტს, მათ ფუნქციებსა და მნიშვნელობას.

პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის თანამედროვე გამოწვევები

21-ე საუკუნეში კაცობრიობა ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რამაც ცხოვრების, განათლების, ურთიერთობებისა და საინფორმაციო-კომუნიკაციური გარემოს ცვლილები და სპეციალისტების მომზადების ხარისხისადმი ახალი სოციალური შეკვეთა წარმოშვა. მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ფუნდამენტური გარდაქმნები მიმდინარეობს, რომელიც სამეცნიერო კოლექტივების მრავალწლიანი შრომის შედეგად პედაგოგიკის, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის მოწინავე თეორიებს და პიროვნებების ისეთი თვისებების განვითარებას დაეფუძნა, როგორიცაა:

- ცვალებადი ეკონომიკური სიტუაციის პირობებში სწრაფი ადაპტირება
- სხვადასხვა სოციალურ-კულტურული და პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლებთან მუშაობა
- ადამიანებთან ურთიერთობა

კრიტიკული, საღი აზრის, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება

განათლება საზოგადოების სრულყოფის, დემოკრატიზაციის პროცესის, მოქალაქეთა თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიმართულების მთავარ იარაღად უნდა იქცეს, რაც შეუძლებელია უნივერსალური, უწყვეტი განათლების იდეისმუდმივი სწავლების და გადამზადების უწყვეტ რეჟიმში გადასვლის გარეშე, რაც თავის მხრივ მოითხოვს პედაგოგიური საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციას და ჭეშმარიტი მასწავლებლის აღზრდას.

პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტმა ღრმად გაიაზრა არსებული სირთულეები და მთელი ძალისხმევა მიმართა პედაგოგიური ძალების მაქსიმალური მობილიზაციისკენ. დეპარტამენტის იდეის სტრატეგიულ ხაზად იქცა მასწავლებლის განათლების ახალი საზრისისა და დანიშნულების განსაზღვრა:

- შეიქმნა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები;
- დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრთან:
- შეიქმნა საბაზო და საშუალო სკოლის საგნისა და საგანთა ჯგუფის (მინორ)საგანმანათლებლო პროგრამა;
- დაფუძნდა სკოლასთან უნივერსიტეტის თანამშრომლობის კლუბი „სკოუნი“;
- დეპარტამენტის ყველა წევრი ჩართულია გადამზადების სხვადასხვა პროექტში და უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი წარმატებულად ხელმძღვანელობს სკოლამდელი აღზრდის და სკოლის სამივე საფეხურის მასწავლებელთა გადამზადების პროგრამებს.

განსაკუთრებული ადგილი სწავლება-სწავლაში აზროვნების განვითარებას დაეთმო. ჩვეულებრივ ადამიანის აზროვნება არსებული პრობლემების გადაჭრისკენ არის მიმართული, რაც აუცილებელია არსებობისათვის, მაგრამ თანამედროვე განათლების მიზნად შემოქმედებითი, კრიტიკული და საღი აზროვნების განვითარება იქცა. შემოქმედებითი აზროვნება პიროვნების შინაგანი განწყობით არის განპირობებული და თავად პოულობს განხორციელების გზებს. აღარც მხოლოდ დამახსოვრების უნარი წარმოადგენს განათლებულობის გარანტს. თანდათანობით ტრადიციული ინფორმაციული სწავლება პრობლემური სწავლების პრინციპებზე ორიენტირებული სწავლებით შეიცვალა, ხოლო ბაზისური ცოდნა ცოდნის გარდაქმნის უნარით, რათა აღსაზრდელის შემდგომი თვითრეალიზაცია არ შეფერხდეს.

ფაქტების დამახსოვრება და იდეების აღქმა აუცილებელი წინაპირობაა კრიტიკული აზროვნებისათვის. მაგრამ თავად კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებლად ხორციელდება საკუთარი იდეის მრწამსის ფორმულირებით. ერთი ფასეული აზრის ჩამოყალიბება ზღვა მასალის (ინფორმაციის) გადამუშავებას მოითხოვს, ასევე ფაქტობრივი ცოდნა კრიტიკულ აზროვნებას არ ნიშნავს და არც მხოლოდ კრიტიკული აზროვნების სწავლებაა განათლების ერთადერთი საქმე: აღსაზრდელებს ათასგვარი რთული ცნების გაგება, განსხვავებული მონაცემების დამახსოვრება, მსჯელობისა და ლოგიკური აზროვნების არსში წვდომა და გამოყენება უნდა ვასწავლოთ.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე ისე უნდა ავაგოთ, რომ აზროვნებასთან ერთად მოსწავლეს დიალოგის და ურთიერთობის კულტურა ჩამოუყალიბდეს. ამისათვის, უწინარესად, თავად საუნივერსიტეტო გარემო კონკურენციიდან ურთიერთთანამშრომლობაზე უნდა გადავიდეს, რადგანაც ერთობლივი საქმიანობა არის დემოკრატიული საზოგადოების განვითარების საფუძველი.

ჯგუფში მუშაობის მთავარი ლაიტმოტივი სწორედ ისაა, რომ მოზარდი თაობა ამ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის უნდა მომზადდეს და შეგნებული კოოპერაციის ჩვევების ათვისება აუცილებლად უნდა მოხდეს სწავლების პერიოდში. ჯგუფში მუშაობის პრიორიტეტია სასწავლო პროცესში აღსაზრდელთა კონტაქტების გაფართოება არა მხოლოდ მასწავლებელთან, არამედ ერთმანეთთანაც, რათა პედაგოგიური ზემოქმედება პირდაპირიდან ირიბად იქცეს მითუმეტეს, რომ „სრულყოფილება სწორედ სხვისი თანხლებით მიიღწევა, ვინმესთან ერთად“(ჰანა არენტი). ასეთი საქმიანობით სასწავლო პროცესი მიუახლოვდება რეალურ ცხოვრებას და პედაგოგიური შემოქმედებაც იდეალური საზოგადოების შენებისკენ იქნება მიმართული .

წინამდებარე სტატიაში აღნიშნული იყო სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის „სკოუნის“ დაფუძნების შესახებ. “სკოუნი“ მოსწავლეთა, მასწავლებელთა და პროფესორთა ერთობაა ცოდნის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. ცენტრის საქმიანობა ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიულ ხარისხს, სტუდენტის და მოსწავლის სამეცნიერო კვლევებში ერთობლივი მონაწილეობა ამაღლებს პასუხისმგებლობას და ინტერესს კვლევითი საქმიანობისადმი .

საგანმანათლებლო პროგრამათა შორის სტუდენტებში განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს მასწავლებელთა მომზადების პროგრამა, რომელიც მომავალ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტს პედაგოგობისათვის ამზადებს და შესაბამის სერთიფიკატსაც გასცემს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ითვისებენ სწავლების ახალ მეთოდებს, გადიან სრულყოფილ პედაგოგიურ პრაქტიკას სკოლებში. პროგრამის წარმატებულ რეალიზაციას ხელი შეუწყო იმ მრავალწლიანმა გამოცდილებამ, რაც თანამედროვე უნივერსიტეტის საძირკვლად იქცა და ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით იყო ცნობილი. საერთოდ მიგვაჩნია, რომ წარსულის ხელაღებით უარყოფა ყოველთვის მისაღები არ უნდა იყოს, რადგანაც მოვლენა ყოველთვის ორგანზომილებიანია და მოხსნა -შენახვის ოქროს წესი, ვფიქრობ, განათლების სფეროსათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება'' განსხვავებული პროგრამაა , სადაც განათლების კვლევის მეთოდები და ინტენსიური პრაქტიკა ორგანულადაა შერწყმული პროფესიულ კურსებთან. სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე ცოდნითა და აუცილებელი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ისეთი განათლების ლიდერების მომზადება, რომლებიც მომავალში ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტურ მართვას შეძლებენ. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ერთობლივია და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და კალიფორნიის ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება.



ნატო შეროზია - ასისტენტ-პროფესორი, უნივერსიტეტის სტუდენტთა და მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობის კლუბის „სკოუნი“-ს ხელმძღვანელი, საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე , კვლევის სფერო: „ბავშვთა მიმართ ძალადობა - პრობლემის გადაჭრის გზების ძიება“.

დეპარტამენტის სამაგისტრო -საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“ 14 მაგისტრი სწავლობს და ამათგან 5-ს 100%-იანი გრანტი აქვს მოპოვებული, რაც ერთხელ კიდევ პროგრამის საჭიროებისა და მისადმი საზოგადოების გაზრდილ ინტერესზე მიუთითებს.

დეპარტამენტში ხორციელდება განათლების სამაგისტრო პროგრამა ''საბაზო და საშუალო სკოლის საგნის მასწავლებლის'' კვალიფიკაციით. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ჯგუფი ერთად ქმნის დადებით გარემოს სწავლისა და კვლევისათვის. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომლობითი გადაწყვეტილებების მიღებასა და საგნის სწავლების მეთოდიკის დამუშავებას და მაღალი პროფესიული სტანდარტების დადგენას. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამომავლოდ სკოლის მასწავლებლისადმი სამაგისტრო განათლება აუცილებლობად იქცევა, აღნიშნული პროგრამით განათლების მიღება დასაქმებისათვის საკმაოდ საშურ საქმედ უნდა ჩაითვალოს.

დეპარტამენტში წარმატებით ხორციელდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები განათლების დოქტორის კვალიფიკაციით. ყველა დოქტორანტი დასაქმებულია. დეპარტამენტი ასევე მუშაობს საბაკალავრო და სამაგისტრო კურსდამთავრებულების დასაქმებაზეც.

ამჟამად დეპარტამენტი მუშაობს ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მიმდინარეობს აკრედიტებული პროგრამების ხელახალი გადამუშავება, განსაკუთრებით აღსანიშნავია დეპარტამენტის მზაობა სკოლამდელი აღზრდის პროფესიული დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებლად, რადგანაც „ყველაფერი დასაწყისიდან მოდის! მსოფლიოში განათლებაში ყველაზე წარმატებული ქვეყნის ფინეთის პედაგოგები და პოლიტიკოსები უმაღლეს მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს. ბავშვის წარმატებას თუ წარუმატებლობას სწორედ განათლების საწყისი ეტაპი განსაზღვრავს, ამიტომ ამ საფეხურისათვის აუცილებელია საუკეთესო კვალიფიკაციის მასწავლებლები. დეპარტამენტთან შექმნილია და ფუნქციონირებს სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა, მაგრამ თანამედროვე გაზრდილი მოთხოვნებისა და სამომავლო მიზნებისათვის ეს საკმარისი არ არის.

პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამომავლო ამოცანაა რადიკალურად შეცვალოს საგანმანათლებლო პარადიგმა, სადაც პრიორიტეტული იქნება პედაგოგიური პრაქტიკა და საგნობრივი მეთოდიკა. ამ მიმართულებით შევეცდებით ნაყოფიერად ვითანამშრომლოთ ევროპის და ამერიკის უნივერსიტეტებთან. ჩვენს უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პოტსდამის უნივერსიტეტთან და მემორანდუმის ფორმატში ჩვენი ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მარინა ქორიძე, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის დოქტორი მადონა მიქელაძე და პროფესორი ნელი ახვლედიანი იმყოფებოდნენ აღნიშნულ უნივერსიტეტში თანამშრომლობის გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამჟამად საპასუხო ვიზიტით ველოდებით გერმანელ კოლეგებს, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ ის მდიდარი გამოცდილება და ტრადიციები , რაც ორივე მხარეს გააჩნია და დავსახოთ მომავლის გზები.

დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დეპარტამენტის თითოეული წევრი მუდმივად სრულყოფს საკუთარ პროფესიონალიზმს, წარმატებით ეუფლებიან უცხო ენებს, ზოგიერთ მათგანს გავლილი აქვს სტაჟირება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენ ყველას გვაქვს გათავისებული ის უზარმაზარი მისია, რაც ქვეყანაში მასწავლებელს აკისრია!

გული შერვაშიძე,
პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ლია ინაიშვილი — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: სწავლისა და სწავლების თავისებურებები;

საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე, სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიის ავტორი, სკოლამდელი განათლების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ტრენერი.

იური ბიბილეიშვილი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მეცნიერული ინტერესები პედაგოგიკაში - განვითარების პედაგოგიური ასპექტის, სწავლების ფუნქციების პედაგოგიკური კონცეფციები. განათლების შინაარსში სრული განათლების კონცეფციის დამუშავება.

არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

ლელა თავდგირიძე,
სრული პროფესორი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, პედაგოგიკა, ეკოლოგიური აღზრდა-განათლება, დიდაქტიკა, სსსმ მოსწავლეთა განათლება

სტაჟირება

1. 4-16 დეკემბერი, 2008, ქ. ვაშიგტონი, ქ. ჩიკაგო, ლიდერობის ცენტრი ღია მსოფლიო, პროგრამა: მასწავლებელთა განათლება და პროფესიული მომზადება, 2008 წლის ლიდერობის ცენტრის ღია მსოფლიოს მიღწევების სერთიფიკატი. ჩიკაგოს საერთაშორისო ვიზიტორთა ცენტრის სერთიფიკატი - ლიდერობის ღია პროგრამაში საუკეთესო შედეგებისათვის.
2. 2009-2010წწ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროექტი „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში“. თბილისი
3. 29.08–03.09, 2011წ „განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულო სკოლაში“ მონაწილეობისთვის (5 კრედიტი), ბათუმი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების მართვის პროექტი.

ქეთევან თადუმაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის სპეციალისტი.



მარინე გურგენიძე - ასისტენტ-პროფესორი, განათლების დოქტორი, მედიკოსი (ექიმი თერაპევტი), მეცნიერული კვლევის სფერო: სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოსა და სწავლების პროცესის ჰიგიენური ორგანიზაციის პრობლემა. სამეცნიერო ნაშრომებისა და მონოგრაფიის ავტორი.

დარეჯან გელაძე - ასისტენტ პროფესორი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე, სამეცნიერო ნაშრომების და მონოგრაფიის ავტორი, გავლილი აქვს ტრენინგები : „ინკლუზიური განათლება“, „თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში“, „მასწავლებელთა პროფესიული უნარები“, „უმაღლეს სკოლაში სწავლების და სწავლის ახალი მეთოდები“ და ა.შ. ინტერესის სფერო: ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, ინკლუზიური განათლება, განვითარების და სწავლების თეორიები.

ნანა მაკარაძე - ასოცირებული პროფესორი, დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სკოლამდელი განათლების სექტორის განვითარების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და ტრენერი.



ნანა მამულაძე - განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ- პროფესორი

ბავშვობიდან მომდინარე სიყვარული

ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ამის თაობაზე მკითხველს „ბათუმის უნივერსიტეტის“ 2012 წლის ნოემბრის ნომერი აუწყებდა. ვთვლით, რომ გაზეთი ერთგვარად ვალშია ქალბატონ შუშანა ფუტკარაძესთან, ასევე სხვა ცნობილ მეცნიერთან თუ მოღვაწესთან, რადგანაც მათ საშვილიშვილო საქმიანობას საზოგადოება უფრო ვრცლად და სიღრმისეულად უნდა იცნობდეს. რედაქცია ცდილობს ამ „ნაკლულევანების“ გამოსწორებას და ამჯერად გთავაზობთ პროფესორ შუშანა ფუტკარაძის „მოგონებებს გარდასულ დღეთა“, რომელმაც პირველმა მოახერხა ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის შემდგომ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართული სოფლების მონახულება. სამი თვის განმავლობაში იგი ეფერებოდა ობლად დარჩენილ ქართულ მიწას, ქართულ სიტყვას და იქაური ძირძველი ქართველებისაგან იწერდა ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურ, ეთნოგრაფიული და ისტორიული ღირებულების მქონე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. როგორც თავად აღნიშნავს, „ოპიზარებისა და ოშკელების შთამომავალთა ბაგეებზე აყვავებულ ქართულ სიტყვებს ჰკრეფდა, სიტვის კონას ჰკრავდა, საქართველოში ჩამოსატანად ამზადებდა, რომ დედასამშობლოში დედა-ენის საგანძურში შენახულიყო სამუდამოდ“.

ბავშვობიდან მომდინარე სიყვარული

კვლევითი საქმიანობისადმი ინტერესი მოსწავლეობის პერიოდიდან გამიჩნდა. ჩემი ისტორიის მასწავლებლები – ნოდარ კოხრეიძე, არჩილ ბეჟანიძე–თავიანთი შემოქმედებითი ხასიათის გაკვეთილებით ჩვენში, მოსწავლეებში, აღვივებდნენ წარსულისადმი ინტერესს, აჭარის ისტორიული ეპიზოდების სიყვარულს. ისინი გვავალებდნენ დავკვირვებოდით ჩვენს ოჯახებში დაცულ ტრადიციებზე, წეს–ჩვეულებებზე. მერვე–მეცხრე–მეათე კლასებში სწავლის დროს ასეთ დაკვირვებებს ვახდენდით და წერილობით ვაწოდებდით მათ. ისტორიის წრეზე (სხდომები იმართებოდა თვეში ერთჯერ) სამსჯელოდ გამოგვქონდა ისინი. ამ პერიოდში უკვე შესწავლილი გვქონდა ჩვენი სოფლების წარსული, ვიცოდით: სად იყო შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლების ნაშთები, მოძიებული გვყავდა ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მცოდნენი, ენაწყლიანი მთხრობელები.

თბილისში არსებული მოსწავლეთა სასახლე ყოველწლიურად აწყობდა სასწავლო–შემოქმედებით კონფერენციებს. სკოლებში იგზავნებოდა შეტყობინება. მეათე კლასში ვსწავლობდი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გვყავდა ძალიან საყვარელი ქალბატონი – დინა თათარიშვილი, სენაკის რაიონის სოფელ გეზათიდან. იგი სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება იყო. მისი ყოველი გაკვეთილი მოსწავლეთა გულებში სამშობლოს სიყვარულს ბარტყავდა და აფრთიანებდა. მან გაგვაცნო მოსწავლეთა სასახლიდან გამოგზავნილი შეტყობინება და მე შემაგულიანა, რომ ჩემი სოფლის ფოლკლორი წარმომეჩინა. მართლაც, მოკლე დროში ჩემი სოფლის ხანდაზმული ადამიანებისაგან ბევრი საინტერესო ზღაპარი, ლეგენდა, გამოცანა, ანდაზა, ისტორიული მონათხრობი ჩავიწერე და საკონკურსოდ თბილისში გამგზავნა სკოლამ. მალე მივიღეთ შეტყობინება, რომ აჭარიდან მარტო მე ვიყავი გამარჯვებული.

მაშინდელი განათლების მინისტრი, ცნობილი მეცნიერისაგან, გიორგი ჯიბლაძისაგან შუახევის რაიკომის მდივანმა სოლომონ მაკარაძემ მიიღო დეპეშა, რომელიც ავალდებულებდა ჩემს გამოცხადებას თბილისის მოსწავლეთა სასახლეში. 1959 წლის მარტის ბოლო იყო. ჩემს სოფელში თოვლი იდო. ფეხით ჩამოვედი რაიონულ ცენტრში მამასთან ერთად და გავემგზავრე ავტობუსით ბათუმისაკენ, იმავე საღამოს კი მატარებლით თბილისს მივაშურეთ. მე და მამამ 25 მარტის დილას თბილისს პირველად შევავლეთ თვალი. დაგვაბინავეს მოსწავლეთა სასახლეში სახელდახელოდ მოწყობილ სასტუმროში, რომელიც განკუთვნილი იყო რაიონებიდან მიწვეული ბავშვებისათვის. მაშინ გავიცანი ინგილოელი გოგონა ტარტარაშვილი (სახელი აღარ მახსოვს). გული მეტკინა იმაზე, რომ საინგილო–ძველი ჰერეთი აზერბაიჯანის საზღვრებში იყო მოქცეული.

სასახლეშიც სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მასწავლებელი ფაცია პაიჭაძე დამხვდა. მას მოსწონებოდა ჩემი მოხსენება და გამესაუბრა კიდეც. სექციური სხდომების შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა ოპერისა და ბალეტის თეატრში. სიტყვა იქაც მომცეს მაღალმთიანი აჭარიდან ჩასულს. პრეზიდიუმში ვიჯექი აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას გვერდით. ცხადია, მაშინ არ ვიცოდი ყველაფერი ამ დიდი მეცნიერების ღვაწლის შესახებ. მათ გამომკითხეს ბევრი რამ: როგორ ვცხოვრობდით, ჩადრს კიდევ ხომ არ ატარებდნენ ქალები, გაკვეთილების მომზადებას როგორ ვასწრებდი, დღეში 8 კილომეტრს რომ გავდიოდი სახლიდან სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე. ჩემი გამოსვლა ძალიან მოეწონათ ამ დიდებულ ადამიანებს და პარტერში რომ ჩავედით, ჩემი თავი გააცნეს ცნობილ მეცნიერებს: არნოლდ ჩიქობავასა და სოლომონ ხუციშვილს. მამაჩემს პირობა ჩამოართვეს, რომ სასწავლებლად უნივერსიტეტში გამგზავნიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მან პირობა დაარღვია და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ძლივს გამომგზავნა სასწავლებლად.

მახსოვს, ერთ დღეს სექციური სხდომის შემდეგ ფაცია მასწავლებელმა ბავშვები წაგვიყვანა მთაწმინდაზე. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მთლად დამჭკნარი სამგლოვიარო გვირგვინები ქართველი ხალხის საყვარელი შვილების: შალვა დადიანისა (15 მარტს გარდაცვლილი) და გალაკტიონ ტაბიძის (17 მარტს გარდაცვლილი) საფლავებზე. ვიხსენებდი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე“: „ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი“... მიხაროდა, რომ აქაურობა აღარ იყო უდაბური, დაუსახლებელი, რომ აქ სამუდამო განსასვენებელი ჰქონდათ დავანებული ჩვენს დიდ წინაპრებს – ილიას, ვაჟას, აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილს... ფაცია მასწავლებელმა მათ საფლავებზე თითო ლექსი გვათქმევინა. ამასობაში ბინდიც შემოგვეპარა და ჩვენი ექსკურსია პოეზიის საღამოდ იქცა... მოკლედ, ჩემი სამეცნიერო საქმიანობის ნათლობაც მაშინ შედგა, 1959 წლის მარტში, მოსწავლეთა სასახლეში.

1959 წლის აგვისტოში მისაღები გამოცდები ჩავაბარე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია–ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობაზე. საკმაოდ დიდი კონკურსი იყო. 20 ადგილზე 400 აბიტურიენტი იბრძოდა. ოთხი გამოცდა იყო ჩასაბარებელი. ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი და ზეპირი, ისტორიაში–ზეპირი, რუსულ ენაში–კარნახი. ოთხივე გამოცდაში უმაღლესი ქულები დავაგროვე და ჩავირიცხე.

ლექციებს დიდი ინტერესით ვისმენდით. გვასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები: ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ნელი დუმბაძე, ნადია საბაშვილი, შუქრი ნიჟარაძე, იური სიხარულიძე, გრიგოლ ბაბილოძე, მემედ სტამბოლიშვილი, კოტე ბოლქვაძე... ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული იყო „დამწყებ პოეტთა, პროზაიკოსთა და კრიტიკოსთა წრე“. ხელმძღვანელი იყო პროფესორი ალექსანდრე ჩავლეიშვილი. სხდომებზე წრის წევრთა შემოქმედების ნიმუშები განიხილებოდა. ამ წრეში დაფრთიანდნენ ცნობილი პოეტები – ზურაბ გორგილაძე, ნოდარ ჯალაღონია, გული სალუქვაძე, ცისანა ანთაძე, შოთა ზოიძე... მეც ვწერდი ლექსებსა და ნოველებს. ზოგჯერ ახლაც მესტუმრება ხოლმე მუზა და პოეზიის სამყაროში გამასეირნებს. ვფიქრობ, შევკრა ისინი ერთ პატარა კრებულად და მოვიხადო ვალი მუზის წინაშე, რომელიც თითქოს მაძალებს ამას. ბევრი ცრემლნარევი ლექსი დამაწერინა ისტორიულ ტაო–კლარჯეთთან დაკავშირებულმა სევდამ, მუჰაჯირი ქართველების გულდათუთქულმა ქართულმა, სტამბოლში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების მიერ 120 წლის მანძილზე ქართული კულტურის კერად ქცეული, ამჟამად ობლად დარჩენილი მონასტრის მწუხარებამ, სახელოვანი გვარიშვილების – აბაშიძეების, ბეჟანიძეების, თავდგირიძეების, ლორთქიფანიძეების, ხიმშიაშვილების – წარმომადგენელთა ნოსტალგიამ. შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის შვილთაშვილებმა – ენვერ ბიძამ და მელაათ–ხანუმმა იმდენი ცრემლი ღვარეს ჩემთან საუბარში, იმდენი სასიყვარულო, მოსაფერებელი სიტყვები თქვეს ნიგაზეულის, სხალთის, ხულოს მიმართ, რომ დამაწერინეს ლექსი „მენატრები, ჩემო ხულო“. მე იგი მივუძღვენი 90 წლის ქალბატონს, მელაათ ხიმშიაშვილს. ლექსი 20 წლის წინ დაიწერა. მაშინ იგი 70 წლისა იყო და კიდევაც ესტუმრა მშობლიურ ხულოს. ენვერ ბიძასთან ერთად დაათვალიერა მშობლიური ადგილები, მშობლიური სახლი. მათ მოითხოვეს თავიანთი ბიძის –– ჯემალ ხიმშიაშვილის, შერიფ ხიმშიაშვილის შვილის, სახლში მუზეუმის გახსნა. მაშინდელი მთავრობა კიდეც აპირებდა ამ თხოვნის შესრულებას, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო მათ ოცნებას ფრთები შეეკვეცა. იქნებ დღევანდელმა ხელისუფლებამ ითავოს ეს კეთილშობილური საქმე და ხულოში მდგარ ისტორიულ შენობაში გახსნას მუზეუმი. სამუზეუმო ნივთებს სტამბოლელი ხიმშიაშვილები საჩუქრად გადასცემენ ამ მუზეუმს. მკითხველს ვთავაზობ ჩემს პოეტურ სტრიქონებში მელაათ ხიმშიაშვილის გულისნადების, სამშობლოს მონატრების გაცოცხლებას. ჩემი საგაზეთო სტატია „მენატრები, ჩემო ხულო“ ადრე რამდენჯერმე დაიბეჭდა ადგილობრივ და რესპუბლიკურ ჟურნალ–გაზეთებში. ლექსი ეძღვნება მელაათ ხიმშიაშვილის, დიდი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის შვილიშვილს. მან ქართული იმდენად კარგად აღარ იცოდა, რომ ლექსი დაეწერა. მე მთხოვა და შევუსრულე ნატვრა. აი, ეს ლექსიც:

მენატრები, ჩემო ხულო, ჩემო მიწავ,
ჭირნახულო,
თეთრ სიზმრებში დანახულო, იქნებ
ვეღარც გინახულო...
ვეფერები სხალთას, თაგოს: მანდ ჩამოსვლა მიქადაგოს,
მშობელ მიწამ წამლად მარგოს,
უცხოეთში არ დამკარგოს...
ფიქრის ფრთებით გადავსერავ, ნიგაზეულს, სარიჩაირს,
ვკოცნი მიწას მონატრებულს, წყაროს, ყვავილს, ათასნაირს...
... სტამბულს შუქი ეფინება, ჩემს თვალებს კი ბინდი აკრავს.
გულით როდი მეღიმება, ამდენი ხნით ნაღველნაკრავს...
გული აქით აღარ მიძღებს, შენთან ყოფნა მუდამ მწადის,
შენს ნატვრაში გავათიე ცხრაჯერ ათი წელიწადი...
რა იქნება, ჩემო ღმერთო, თაფლის სანთლად ჩამომღვენთო.
ხულოს ზეცა გადამხურო, ხულოს მიწა წამახურო,
რომ მშობლიურ აჭარაში სული ჩემი სანთლად ენთოს...
... დამესიზმრე წუხელ, ხულო, მთის კალთაზე დახატულო,
ჩემთვის ტაძრად შენახულო, თეთრ სიზმრებში დანახულო,
ჩემო სულის გაზაფხულო, მენატრები, ჩემო ხულო...

სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ჩვენებურების ნაღველჩამდგარი თვალებიდან მონაწური ცხელი ცრემლები ქვასაც კი წვავს და ადნობს. ამ გრძნობას მშობელი მიწის სიყვარული ჰქვია. ახალგაზრდების გასაგონად ვამბობ: არავინ ისურვოს მშობელი მიწის მიტოვება და უცხოეთში გახიზვნა, თორემ სანანებელი, გულსაკლავი ნაღველი შვიდ თაობას მაინც გადაჰყვება.

ცნობილმა მომღერალმა ბაიარ შაჰნმა–გუნდარიძემ ამ ლექსის შესაბამისი მუსიკა შექმნა და სიმღერად აქცია. იგი მალე ესტუმრება ხულოს და ამ სიმღერასაც შეასრულებს. ბაიარი ზედა მაჭახლიდანაა, ჩემი წინაპრებიც მაჭახლის სოფელ საფუტკრეთიდან არიან ზედა აჭარაში გადასახლებული. ახლა ჯერი მაჭახელზეა. ამ ღამაზ კუთხეზეც უნდა შეიქმნას ლექსიცა და სიმღერაც. ვნახოთ, როდის მოფრინდება მუზა და მიკარნახებს მაჭახლის შესაფერის სტრიქონებს...

სტუდენტურ წლებთან ბევრი საინტერესო მოგონება მაკავშირებს. მახსოვს იოსებ გრიშაშვილისა და გიორგი ლეონიძის სტუმრობა. დამწყები პოეტები ლექსებით მივესალმეთ დიდებულ პოეტებს ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

მესამე კურსის დასაწყისში საფრთხე შეექმნა ჩემს ინსტიტუტში სწავლას, სტუდენტობას. ჩემი ძმა, აწ გარდაცვლილი ოთარ ფუტკარაძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მამაჩემს გაუჭირდა ორი სტუდენტის მოვლა–პატრონობა. მოითხოვა ჩემი დაუსწრებელ განყოფილებაზე გადაყვანა. ჩემს მშობლიურ დღვანს საშუალო სკოლას ლიტერატურის მასწავლებელი სჭირდებოდა. მამის სურვილის მიხედვით მე იქ უნდა დამეწყო მუშაობა და ოჯახს შევშველებოდი. ფაკულტეტის დეკანი ბატონი პარმენ პატარაია ამაზე ძალიან შეწუხდა. ჩემი დაუსწრებელ განყოფილებაზე გადაყვანა დაუშვებლად ჩათვალა მაშინდელმა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, ქალბატონმა ნანი გუგუნავამ. მან სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დააყენა ეს საკითხი, დაასაბუთა, რომ დაუსწრებელ სწავლებაზე ჩემი გადაყვანით ინსტიტუტი კარგავდა აკადემიურად მოწინავე სტუდენტს. ქალბატონი ნანი გუგუნავას ინიციატივით სამეცნიერო საბჭომ ლენინური სტიპენდია დამინიშნა, რომელიც 800 რუსული მანეთის ოდენობისა იყო. პირველი სტიპენდიით ჩემი ძმა შევმოსე სრულყოფილად, რომ დედაქალაქში თავი კარგად ეგრძნო. ასე შემოვრჩი ინსტიტუტს და თანაც დავეხმარე ოჯახს.

მაშინ ინსტიტუტში ლენინური სტიპენდია მხოლოდ ორს გვქონდა: მათემატიკის ფაკულტეტზე ბატონ ონისე სურმანიძეს და მე. ვცდილობდით წარჩინებული ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრებისა ვყოფილიყავით, რომ შეგვენარჩუნებინა იგი. მართლაც, წარჩინებით დავამთავრეთ ინსტიტუტის ხუთწლიანი კურსი. აქტიურად ვმონაწილეობდით სამეცნიერო კონფერენციებში. მე, მაგალითად, მეხუთე კურსზე სწავლის დროს სამი თემა დავამუშავე სამეცნიერო კონფერენციებში: ენათმეცნიერებაში–მეხილეობის ლექსიკა ზემოაჭარულში; ლიტერატურაში–ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები; პედაგოგიკაში–ვაჟა-ფშაველას პედაგოგიური შეხედულებანი. აქედან ერთი მოხსენებით გამოვედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ერთი წავიკითხე ქუთაისის ინსტიტუტში, ერთი კი — მშობლიურ ინსტიტუტში. მაშინ დიდი ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა მეცნიერულ საქმიანობას. ინსტიტუტში შექმნილი იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, სხდომები ყოველთვიურად ტარდებოდა, ???იხილებოდა სტუდენტთა მოხსენებები.

როგორ იქმნებოდა „ჩვენებურების ქართული“

„ჩვენებურების ქართულზე“ მუშაობის დროს გავიცანი თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ბევრი ქართველი. სწორედ მათი დახმარებით რამდენჯერმე მოვიარე ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებული სოფლები. ასეთი სოფლები შემორჩენილია ისტორიული ნიგალის ხეობაში (ბორჩხის რაიონი), მდ. მურღულის ხეობაში (მურღულის რაიონი) და შავშეთის რაიონის მდ. ფაფართის ხეობაში, რომელსაც იმერხევს ეძახიან. საკუთრივ ისტორიულ შავშეთში, გიორგი ყაზბეგის უტყუარი ცნობით, 1874 წლისთვის უკვე

არც ერთი სოფლის მოსახლეობა აღარ ფლობდა ქართულს. ცხადია, ასეა დღესაც. აქაური ქართველების უმეტესობას ჯერ კიდევ არ აქვს დაკარგული ქართველობის შეგნება, ეროვნული ცნობიერება, მაგრამ ქართულად მოლაპარაკეს შავშეთში ვერსად იპოვით. ზოგიერთი ტოპონიმი ჯერ კიდევ ქართულია.

ისტორიული ტაო–კლარჯეთისადმი ინტერესი, როგორც ეს რამდენიმეჯერაა აღნიშნული, ჩემში ჯერ კიდევ ბავშვობაში აღძრეს ჩემს მეზობლად მცხოვრებმა არტაანიდან, შავშეთიდან, იმერხევიდან გამოთხოვილმა საყვარელმა „ნენეებმა“–ბებიებმა. ისინი განსხვავებულ კილოზე საუბრობდნენ და ამითაც იქცევდნენ ყურადღებას. მთაში – იაილაში ყოფნის დროს ისინი ძალიან ხშირად იყურებოდნენ არსიანის მთაგრეხილის აჭარა–შავშეთის ქედზე არსებული უღელტეხილისკენ. ამ უღელტეხილით გადმოვიდა მათი მაყრიონი, მაგრამ თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელშეკრულებით დაიდო საზღვარი და გადასვლა–გადმოსვლა აიკრძალა. ამ ნენეებს ენატრებოდათ თავიანთი დედ–მამა, და–ძმა, ნათესავები, მშობლიური ადგილები და ამიტომაც მათ ცრემლნარევ თვალებში ჩამდგარი იყო მძიმე ნაღველი. მე ისინი ძალიან მეცოდებოდა, ხშირად ვეხმარებოდი ჩემი ბავშვური ხელებით და მათგან ლოცვას ვიმსახურებდი: – გამშვიდობოს ღმერთმა, შვილო, სხვისი ხელების, სხვისი ლუკმის ამარა არ დაგტოვოსო,- მლოცავდნენ ხოლმე.

სტუდენტობაში ნიკო მარის მოგზაურობის დღიურს რომ გავეცანი, კიდევ უფრო შემიყვარდა ამ ნენეების მშობლიური ადგილები, მაგრამ მაშინ საზღვრის იქით გახედვაც კი აკრძალული იყო, ჩიტიც კი ვერ ახერხებდა გადაფრენას.

1983 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორ–მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. მოხსენებით გამოვედი. მოხსენებამ მოწონება დაიმსახურა. უნივერსიტეტის სასადილოში ბანკეტი გაიმართა. ბანკეტის შემდეგ სტუმრები და მასპინძლები ეზოში გამოეფინენ. ჩემმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა, პროფესორმა ივანე ქავთარაძემ მომნახა და საუბარი თურქეთელი ქართველების შესახებ დამიწყო. იცოდა, რომ მე ბურსის ვილაიეთში ბევრი ნათესავი მყავდა დედის მხრიდან, თავდგირიძეები. ბატონი ივანე ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი იყო, უსპეტაკესი პიროვნება, ნამდვილი მეცნიერი. მან მითხრა: – შუშანა, შენ ერთი დიდი საქმე უნდა ითავო. საამისო პირობები რომ შეიქმნება, ე.ი. ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის როცა ცოტა მაინც დათბება, უნდა წახვიდე თურქეთის რესპუბლიკაში და უნდა მოიარო თურქეთის საქართველო და მუჰაჯირი ქართველობაო. მოკლედ, პირობა ჩამომართვა: მითხრა, ეს არის ჩემი შენდამი ნათქვამი ანდერძი, ჩემი თხოვნაო. სამწუხაროდ, ბატონი ივანე მალე გარდაიცვალა. მე ამის შესახებ ვუამბე პროფესორ ალექსანდრე ღლონტს, რომელიც აღფრთოვანდა და მანაც წამახალისა.

მართლაც, დროთა სვლამ ნელ–ნელა ახადა ორ ქვეყანას შორის შავ კედლად აღმართული რკინის ფარდა და 1988 წლის სექტემბერში სარფის კარი გაიხსნა. ამ დროს მე უკვე აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების დოქტორანტი ვიყავი. ინსტიტუტის დირექტორის- ქალბატონი ქეთევან ლომთათიძისა და მისი მოადგილის პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძის გადაწყვეტილებით, სადოქტორო დისერტაციის თემად გამიფორმდა საკითხი–„ქართული ენის სამხრულ–დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით“. ე.ი. აუცილებელი იყო თურქეთის რესპუბლიკაში სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის წარმართვა. ბედმა გამიღიმა. ჩემი თურქეთელი ნათესავების დახმარებით მოვახერხე სამთვიანი ვიზის მიღება და 1989 წლის 24 მარტს გადავკვეთე საზღვარი. საზღვრის იქითა მხარეს მელოდებოდა ჩემი ნათესავი შემსედინ თავდგირიძე, ბებიაჩემის ბიძაშვილი, მოხუცი კაცი, რომელმაც 1700 კილომეტრი გამოიარა ჩემს შესახვედრად. ჩვენი შეხვედრა მეტად ამაღელვებელი იყო. პირველად მაშინ ვიგრძენი, რას ნიშნავს სისხლის ყივილი. იქითა საზღვარზე რომ ფეხი დავდგი, მოხუცმა კაცმა ჩემი ჩემოდანი ნეიტრალური ზონიდან თავისკენ გადადგა. ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ თუ არა, ერთმანეთისთვის სიტყვაუთქმელად მაგნიტივით მიგვიზიდა სისხლმა და ჩავეხვიეთ ერთმანეთს. ვქვითინებდით და ვეკვროდით ერთი მეორეს თითქმის უცნობი, ერთმანეთის უნახავი ადამიანები. მაგრამ სისხლმა იგრძნო ჩვენი ნათესაობა და ჩვენდა უკითხავად ჩაგვიკრა გულში. ასე გაგრძელდა 5–10 წუთი. ჩვენმა ქვითინმა მებაჟეები გააკვირვა და მოგვცვივდნენ, კითხულობდნენ, რა იყო, რატომ ვტიროდით. მე თურქულად ვერ ვლაპარაკობდი. მოხუცმა უთხრა: – 120 წლის დაკარგული სისხლი ვნახე, მაგნიტივით მიმიზიდა და იმიტომ ვტირითო. ჩვენმა განცდებმა

თურქ მებაჟეებსაც ჩაუყენა თვალებში ცრემლი.

სამი თვის მანძილზე ნათესავებთან ყოფნას ზეიმობდა ჩემი სული და ჩემს სხეულში ჩასახლებული წინაპრების სულები, რომელთაც არ ეღირსათ თავისიანების ნახვა. ყოველ საღამოს გადაპატიჟებული ვიყავით მე და ჩემი შორენა (მაშინ იგი მეცხრე კლასელი იყო) და სიყვარულის ტალღებში ვცურავდით. ეს იყო სისხლის ყივილით გამოწვეული სიყვარული, ამაღელვებელი, წრფელი, უანგარო და მიამიტი, ისტორიული ფესვებიდან მომდინარე, ჭეშმარიტად მშობლიური და ახლო ნათესაური.

ინეგოლში სამი თვე ვცხოვრობდით მემედ ოზბეგის–თავდგირიძის ოჯახში. ჩვენი დიასახლისი – ქალბატონი ჰავა–ხანუმი თამარ დედოფლის ფრესკასავით ლამაზი და თბილი იყო. ინეგოლში გავიცანი იმერხეველი მწერალი კაცი – ისმაილ ყარა – შავიშვილი, რომელსაც უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა რომანი „მაჭახლის უღელტეხილი“ და მუშაობდა ახალ რომანზე „ჭოროხი ჩქარა მიდის“. ერთხელ საუბარში ვკითხე, რატომ აირჩია ასეთი სათაური, რას ნიშნავს „ჭოროხი ჩქარა მიდის“–მეთქი. მითხრა – „მაგას რა კითხვა უნდა, ჭოროხი ჩქარა იმიტომ მიდის, რომ დედასამშობლოსკენ იჩქარის, უნდა მალე ჩაეკრას დედასაქართველოს გულში“–ო.

ჩემმა ნათესავებმა გაიგეს, რომ მე ტაო–კლარჯეთის ნახვაც მინდოდა. ვიზის გასვლამდე 20 დღით ადრე ინეგოლიდან გამომამგზავრეს ართვინისკენ, თან გამომაყოლეს ნათესავი კაცი ოსმან–ბიძა გოჩიტიძე–ახისხალოღლი. ჩვენ ართვინიდან გავემართეთ ქართულენოვანი მოსახლეობის სოფლებისკენ – იმერხევისკენ. ავედით ზედა იმერხევში, სოფელ ხოხლევში, ზუსტად ჩემი ბავშვობის დროინდელი იაილის გადაღმა მხარეს, აჭარა–შავშეთის ქედის სამხრეთ კალთაზე შეფენილ სოფელში. ნიკო მარის შემდეგ (1904 წელი) აქ საქართველოდან მკვლევარს ფეხი აღარ ჰქონდა დადგმული. ამ სოფლიდან ჩვენი ხეობის სოფელ ოლადაურში ორი ქალბატონი იყო გამოთხოვილი, ორიც მეზობელ სოფელ აგარიდან იყო ჩვენკენ გამოთხოვილი, ორიც– სოფელ წეთილეთიდან. ე.ი. ჩემი საყვარელი ნენეების ნათესავების სტუმარი ვიყავი. საოცრად ამაღელვებელი იყო ჩვენი შეხვედრა. მასპინძლის სახლი ვერ იტევდა მნახველებს. მკოცნიდნენ ხელებზე, კაბის კალთაზე და მეხვეწებოდნენ მელაპარაკა ქართულად. ტირილით ამბობდნენ: –ვაიმე, რა ლამაზ გურჯიჯას (ქართულს) ლაპარაკობსო. ჩვენო სამამულო ომის შემდეგ რადიოთიც ვეღარ დევკავეთ ქართული ლაპარაკიო, რა ცოდვა ვართ უქართულოთ დარჩენილი, იეთიმად (ობლად), არ გეცოდვებითო?!

რა უნდა მეთქვა, შეზღუდული ვიყავ. ჩვენკენ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო, ცუდის თქმა არ შემეძლო...

ორი კვირაც იმერხევში დავრჩით, ჩავიწერე ძვირფასი მასალა. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ ხანდაზმული ადამიანები და ძველი ქართულით მელაპარაკებოდნენ. არასოდეს დამავიწყდება მათ მიერ გამოხატული სიყვარული, პატივისცემა, დაფასება.

იმავე წლის ივლისში ბათუმში სტუმრად ისმაილ ყარა–შავიშვილი ჩამობრძანდა ცოლ–შვილით. იგი მოიწვიეს ნათესავებმა – პოეტმა ემენ დავითაძემ და ნიაზ ლომინაძემ. მეც გადმოვიპატიჟე რამდენიმეჯერ. წასვლის დრო რომ მოუახლოვდა ბატონ ისმაილს, იმერხევში დამპატიჟა, მითხრა, – ვიცი იმერხევში მასალის ჩაწერა გინდა, მე და ჩემი მეუღლე იმერხეველები ვართ, ჩვენი სოფლები–შოლტიხევი და მაჩხატეთი ზემო იმერხევშია, სადაც წმინდა ქართული იციან და საინტერესო მასალას ჩაიწერთო. გამეხარდა ასეთი პირობების შემოთავაზება, მაგრამ უცხოური ვალუტა არ გამაჩნდა, დოლარები. მაშინდელი წესის თანახმად, წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეეძლო საბჭოთა მოქალაქეს უცხოური ფულის მიღება, საბჭოთა მანეთის დოლარზე გადაცვლა. მივდექ–მოვდექით, ვთხოვეთ ამას, იმას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რა მექნა, არ ვიცოდი. უფულოდ როგორ უნდა წავსულიყავი. ბატონმა ისმაილმა გამოსავალი ნახა. მითხრა, იყიდე აკორდეონი და „დრუჟბა“ –ხის მოსაჭრელი ხელსაწყო. მაგათ კარგი ფასი აქვს თურქეთში, გაგაყიდვინებ და ფულიც გექნებაო. მართლაც შევიძინე „დრუჟბაცა“ და აკორდეონიც, მაგრამ საბაჟოზე გატანა ძნელი იყო, იკრძალებოდა. პარტიის საქალაქო კომიტეტში მუშაობდა მეტად კეთილშობილი პიროვნება, ჩემი კოლეგის – პროფესორ თინა შიოშვილის–მეუღლე ალეკო ჩხარტიშვილი და იმას ვთხოვე დახმარება.

ასე მოვახერხე აქეთა საბაჟოს საქმე, იქითა მხარეს საქმის მოგვარება კი ბატონმა ისმაილმა ითავა. მის მეუღლეს –ხატიჯე მიღმაძეს და ჰყავდა გათხოვილი მურღულის რაიონის სოფელ ჭილაურში. პირველად იმას ვესტუმრეთ. რამდენიმე დღე იქ დავრჩით. მოვიარეთ მურღულის სოფლები და ჩავიწერე საინტერესო მასალები, შემდეგ კი იმერხევს ვეწვიეთ. მაშინ მოვიარე თითქმის მთლიანად მთელი იმერხევი, 40–მდე სოფელში მივედით. შევხვდი ხალხურ მთქმელს- მევლუდ ღაღანიძეს, რომელიც სოფელ იფხრეულში ცხოვრობდა.

საზღვრისპირა სოფლებში უცხო მოქალაქის შესვლისთვის თურმე საჭირო იყო გუბერნატორის (ვალის) სპეციალური ნებართვა. ეს ბატონმა ისმაილმა არ იცოდა და სწორედ ამან შემიქმნა მცირედი უსიამოვნება. ჟანდარმერიის წარმომადგენლებმა წაიღეს ჩვენი პასპორტები. გამოიკვლიეს ჩემი ვინაობა, სტუმრობის მიზანი, ინეგოლში ჩემი სამთვიანი ყოფნისა და მუშაობის შესახებ მიიღეს საჭირო ცნობები და ისე დაგვიბრუნეს პასპორტები. ღვთის წყალობით, ყველა ადგილიდან დადებითი დახასიათება მოვიდა ჩემ შესახებ, რომ ვიყავი მორალურად სპეტაკი, არ მაინტერესებდა პოლიტიკური ამბები, ვიწერდი მხოლოდ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს.

იმ დღეებში დიდი მორალური მხარდაჭერა, პატრონობა გამიწია სოფელ ხოხლევის მცხოვრებმა, ართვინის სოფლის მეურნეობის ბანკის დირექტორმა ქემალ მესხაძემ–შაჰინმა. მისი შვილიშვილი ამჟამად არის ჩვენი უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი მაჰმუდ შაჰინი–მესხაძე. მას ეამაყება, რომ „ჩვენებურების ქართულში“ არის მისი ბაბუის ოჯახის სურათი.

1989 წლის შემდეგ რამდენჯერმე კვლავ ვიმოგზაურე იმერხევში და ნიგალის, მურღულის ხეობების ქართულ სოფლებში. იქ ჩაწერილი მასალებით შეიქმნა შვიდასოცგვერდიანი მონოგრაფია „ჩვენებურების ქართული“ შესავალი წერილებითა და ლექსიკონით. ქართველმა საზოგადოებამ დიდი სიყვარულით მიიღო ეს წიგნი, რომელიც დღეს სანთლით საძებარია მკვლევართათვის. ამჟამად იწერება „ჩვენებურების ქართულის“ მეორე ტომი. პირველ ტომთან შედარებით იგი მკითხველთათვის გაცილებით საინტერესო იქნება.

სტამბოლის ქართულ სავანეში

„ჩვენებურების ქართულზე“ მუშაობის დროს ჩემმა თურქეთელმა ნათესავებმა ბევრ სოფელსა და ქალაქში წამიყვანეს, ბევრ პიროვნებას შემახვედრეს. ვიყავით ანკარაში, იალოვაში, ერეგლიში, ბურსაში, ადაბაზარში... სტამბოლში სტუმრად ვიყავი ბასრი იავუზთან–ფუტკარაძესთან. იგი იცნობდა სტამბოლელ ზაზაძეებს და სტუმრად წამიყვანა მათთან. მაშინ ცოცხალი იყო პავლე ზაზაძე. ბათუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მსოფლიო მნიშვნელობის ბიზნესმენის ბატონ სიმონ ზაზაძის მამა. იგი მე ვნახე 1989 წლის მაისში, 89 წლის მოხუცი. მას ძალიან ენატრებოდა თავისი მშობლიური სოფელი უდე, თავისი ახალციხე, მესხეთი. აცრემლებულმა გაიხსენა ახლო ხანში ნანახი სიზმარი და ასე მომითხრო: „ბავშვობაში დედას დავყავდი ტყეში, სადაც ეკლესიის ნანგრევი იყო. იქ სანთლებს დავანთებდით, ვლოცულობდითო. ეკლესიის გვერდით წყარო იყო, ცივი, მსუბუქი, გემრიელი. ახლაც, ამ ასაკში, დამესიზმრა იმ ეკლესიის ნანგრევი და ის წყაროო. დედამ სანთელი დამანთებინა, ვილოცეთ... წყაროს წყალი მომინდა და უნდა დამელია. მოვტრიალდი წყაროსკენ. წყაროზე ოქროს ავაზანი იყო, წყლით სავსე. მზის შუქზე ბრწყინავდა. მივედი დასალევად, მაგრამ დაკეტილი დამხვდაო. ავაზანს ოქროს ბოქლომი ედო. ვერ დავლიე წყაროს წყალი, შევწუხდი და გამომეღვიძაო“. თან ასე ახსნა ეს სიზმარი: „ოქროს ავაზანი რომ მზის შუქზე ბრწყინავდა, ეს კარგის ნიშანია, საქართველო სინათლეში გამოვა, ჩემი სამშობლო გაბრწყინდება, მაგრამ ავაზანი დაკეტილი რომ იყო, ეს იმის ნიშანია, რომ სამშობლოს სინათლეში გამოსვლა დააგვიანდებაო. დაკეტილი რომ იყო ავაზანი და წყალი ვერ დავლიე, ეს ჩემთვის ცუდის ნიშანია. ალბათ, აღარ მეღირსება საქართველოში ჩამოსვლა და იმ წყაროს წყლის დალევაო“.

მართლაც, მოხუც პავლე ზაზაძეს აღარ ეღირსა მშობლიური ადგილების ნახვა. იგი 1989 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. მამის სურვილი მისმა შვილმა- სიმონ ზაზაძემ შეასრულა. მან მოინახულა წინაპართა მშობლიური ადგილები, ერთგულად უპატრონა სტამბოლში ობლად დარჩენილ ქართულ მონასტერს, მდიდარი ბიბლიოთეკითა და არქივით დატვირთულს. უფლის ნებით, ჩვენ აღვწერეთ ეს ბიბლიოთეკა და არქივი. ბატონმა სიმონმა სულ ახლახან შემატყობინა, რომ ძველი მონასტრის ახლოს იგი აფუძნებს ქართული კულტურის ცენტრს, სადაც განთავსდება ეს საუნჯე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქალი - უპირველეს დედა, ქალი - ერთგული მეგობარი და ცოლი, ქალი - გაზაფხული, სითბო და სინაზე...

არსებობს განსაკუთრებული დღე, რომელიც მხოლოდ ქალებს ეკუთვნით. ის გაზაფხულის შემობრძანებას ემთხვევა, რაც შემთხვევითი არ არის: გაზაფხულზე ბუნება იღვიძებს, სიცოცხლის სურნელი ტრიალებს, გაზაფხული დაბადების და ახალი სიცოცხლის დაწყების სიმბოლოა ბუნებაში... და ქალიც ხომ სიცოცხლის საწყისია, გაზაფხულივით მშვენიერი და თბილი.

ქალის როლი საზოგადოებაში არაერთგვაროვანი იყო და არის დღესაც. დანიშნულება ქალისა ქრისტიანობაში ძალიან დიდია. ყოველი ადამიანი პირველ აზრებს, მიდრეკილებებს, პირველ ლოცვას დედისგან სწავლობს, ე.ი. ღირსება, თვისება და ბედნიერება ყოველი ადამიანისა თითქმის ქალზე-დედაზეა დამოკიდებული.

ბიბლიის მიხედვით, პირველ ქალს ევა ერქვა, რაც ქართულად სიცოცხლეს ნიშნავს. მართლაც, ქალის ყველაზე დიდი მოვალეობა და დანიშნულება ახალი ადამიანისათვის სიცოცხლის მინიჭებაა, რომლის ძალაც მას ღვთის ლოცვა-კურთხევით მიეცა. დავფიქრდეთ, რომელი საქმიანობა და თანამდებობა შეედრება ახალი სიცოცხლის წარმოშობას! რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს რომ საზოგადოებრივ საქმიანობაზე ქალმა ხელი საერთოდ აიღოს, მაგრამ არც იმას ნიშნავს, რომ მისთვის ისეთ შეუფერებელ საქმიანობას ეწეოდეს, როგორსაც მაგალითად, მშენებლობასა და მაღაროებში მუშაობა, ან კიდევ ტროლეიბუსებისა და სატვირთო მანქანების მძღოლობა წარმოადგენს - ვკითხულობთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი- ში.

დედის ლოცვას განსაკუთრებული ძალა აქვს და მუდამ იფარავს შვილებს ცხოვრების გზაზე. ნათქვამია, რომ დედის ლოცვას შეუძლია შვილი თვით ჯოჯოხეთიდანაც კი ამოიყვანოს.

ქალები ადამიანთა საზოგადოების ნახევარზე მეტს შეადგენენ და საზოგადოებას მათი პროფესიონალიზმი და შესაძლებლობები ძლიერ ესაჭიროება. უმრავლეს საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის საზოგადოებრივი მდგომარეობა განპირობებულია კვლავწარმოებაში მათი სხვადასხვა როლით. ცხოვრების პირობები ქალის ქცევასა და აზროვნებაზე თავის დაღს ასვამდა. საუკუნეების განმავლობაში ისინი სახლისა და ოჯახის საქმით იყვნენ დაკავებულნი, მაშინ, როდესაც მამაკაცებს მოღვაწეობის სფერო შეზღუდული არ ჰქონდათ. მათ ასეთ მდგომარეობას მეცნიერებიც ამართლებდნენ. მკვიდრდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ქალს არ შეუძლია აითვისოს ტრადიციული მამაკაცური საქმიანობა. მაგალითად, ასი წლის წინ არ იყვნენ ექიმი ქალები და თავისთავად ითვლებოდა, რომ მათ ამ პროფესიის ათვისება არ ძალუძთ. დღეს კი ექიმების ნახევარზე მეტი ქალია.

გენდერული თანასწორობის კონცფცია, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წელს, ხაზგასმით მიუთითებს ქალისა და კაცის უფლებების უზრუნველყოფისა და ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

ქალს განსაკუთრებით სჭირდება გონიერება და მხნეობა. შეიძლება უფრო მეტადაც კი, ვიდრე მამაკაცს. როგორც ვიცით, ქალი აგებულებით მამაკაცზე ბევრად უფრო სუსტია, ამიტომ ეს სისუსტე, რათა მამაკაცს ძალიან არ ჩამორჩეს, მან გონიერებითა და ხასიათის სიმტკიცით უნდა შეავსოს.

ქალის ბუნება მამაკაცისაგან უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ იგი უმეტესად გულითა და გრძნობით ცხოვრობს, ხოლო მამაკაცი - გონებით. ქალი მაშინაა კმაყოფილი და ბედნიერი, როცა ქმრის, შვილების, ძმისა თუ სხვა ახლობლების მიმართ უხვად გასცემს სიყვარულს, ანუ როცა სხვას აბედნიერებს. ღმერთმა მას მამაკაცისაგან განსხვავებული თვისებანი იმიტომ მისცა, რომ მოვალეობაც განსხვავებული აქვს.

არაერთი ცნობილი და გმირი ქალის ბიოგრაფია შემოგვინახა ისტორიამ. ზოგიერთი მათგანი ნობელის პრემიის ლაურეატებიც კი არიან.

არა ერთი ცნობილი ქალი ალამაზებს ქართულ მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ჩამონათვალთა სია ძალიან შორს წაგვიყვანს. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც თამარ მეფე, ქეთევან წამებული, მაია წყნეთელი, თამარ ვაშლოვნელი, თინა წავკისელი და სხვანი და სხვანი.

აი, დადგა გაზაფხულის ყველაზე ნაზი დღესასწაული 8 მარტი. გაზაფხულის პირველი თვე ქალბატონების უმეტესობას განსაკუთრებით უყვართ, რადგან 3 მარტი დედის დღე, ხოლო 8 მარტი, ათწლეულების ტრადიციით, ქალთა საერთაშორისო დღეა. ეს არის ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიღწევების აღნიშვნის გლობალური დღესასწაული. დღესდღეობით თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს ყოველი წლის 8 მარტს, როგორც ქალთა საერთაშორისო დღეს.

არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი. ამ დღეს ყველა ქალი განსაკუთრებულად ელის. იღებენ საჩუქრებს და მილოცვებს და ხარობენ თავიანთ ახლობლებთან ერთად.

და ბოლოს ისევ ილია II-ის სიტყვებით მინდა დავასრულო: „ ქალს შეუძლია და მოვალეცაა, რომ მოწყალების საქმეს ემსახუროს, რადგან უფალმა იგი შემბრალე და მოსიყვარულე გულით დააჯილდოვა. უნდა გვახსოვდეს, რომ წლები, რომელიც ღმერთმა მიწიერი ცხოვრებისთვის მოგვცა, ძალიან სწრაფად გარბის, ამიტომ დრო უქმად არ უნდა დავკარგოთ და ვიჩქაროთ, რათა ქველმოქმედებითა და კეთილი საქმეებით ის განუხრწნელი საუნჯე დავაგროვოთ, რომელიც სამართლიანი მსაჯულის წინაშე წარდგომისას გაგვამართლებს“ .

მარინა ნაგერვაძე
ბიოლოგიის დეპარტამენტის
ასისტენტ პროფესორი

ძვირფასო მეგობრებო! დადგა გაზაფხულის ყველაზე ნაზი და ლამაზი დღესასწაული - ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი. ქალი - გაზაფხული, მშვენიერება, სათუთი ბავშვი, ფაქიზი, ნაზი, ამაყი, ლაღად მონავარდე და ერის სიმდიდრე! რამდენი ტკბილი სიტყვა თქმულა ქალის მისამართით...

თეიმურაზი, სულხან-საბა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, დანიელ ჭონქაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ლორთქიფანიძე და მრავალი სხვა თავიანთ შემოქმედებაში სათუთად აქანდაკებენ ქალის სახეს.

ქალის სიძლიერე მნიშვნელოვნად შეიმჩნეოდა პატრიარქალური წყობიდან გენდერულ თანასწორობაზე გადასვლის თითოეულ ეტაპზე, რომელიც საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას უწყობდა ხელს.

თამარ მეფე, დედა ტერეზა, მარგარეტ ტეტჩერი... მათ თავიანთი დადებითი ქმედებებით გავლენა მოახდინეს ეპოქალური მნიშვნელობის პრობლემებზე; მიუხედავად სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობისა, ხელი შეუწყვეს მსოფლიო საზოგადოების პროგრესირებას, წინსვლასა და განვითარებას.

სხვადასხვა ქვეყანაში ქალთა რამდენიმე დღესასწაულს აღნიშნავენ: მაგალითად, ამერიკაში ქალთა დღესასწაული მაისშია, რომელიც მასწავლებლის - ანა ჯარვისის წინადადებით დაწესდა. ინგლისელებისათვის ყველაზე ძველ დღესასწაულად მიჩნეულია ,,დედის კვირა'', რომელსაც რელიგიური ფესვები აქვს და მე-17 საუკუნიდან აღინიშნება. არსებობს ასევე ქალთა სხვადასხვა პროფესიული დღესასწაულიც. მაგალითად, ,,მეყვავილე ქალთა საერთაშორისო დღე'', ,,ბიზნესში დასაქმებულ ამერიკელ ქალთა საერთაშორისო დღე'' და ა. შ.

ამჟამად ათასობით ქვეყანაში ქალთა დღე სხვადასხვა თვესა და დღეს აღინიშნება.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ქალბატონებთან მიმართებაში ყოველი დღე 8 მარტი უნდა იყოს მთელი წლის განმავლობაში, რადგან ისინი ამას იმსახურებენ.

ყველა ქალს ვუსურვებ სიყვარულს, სიხარულს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და წარმატებებს.

იყავით ძლიერნი და უფლის რწმენით სავსენი.

ლია ინაიშვილი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა
დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი

გაზაფხულის პირველი თვე ქალთან ასოცირდება. ორი დღესასწაული – დედის დღე და ქალთა დღე ახსენებს ყველას, რომ ქალს უფრო მეტი ყურადღება სჭირდება, ვიდრე ეს შეიძლება ჰქონდეს ყოველდღე. ჩემთვის 3 მარტი და 8 მარტი მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებული და გამორჩეული არ არის სხვა დღეებისგან. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩემთვის, როგორც შვილისთვის, დედა უძვირფასესია, რომლის მოფერებისა და ყურადღებისთვის განსაკუთრებული თარიღები არ არის საჭირო, არც ჩემი შვილი და მეუღლე ელოდებიან მაინცდამაინც 3 და 8 მარტს, რადგან ურჩევნიათ ყურადღება ხშირად გამოიჩინონ და თან რომ არ ელოდები, განსაკუთრებით მაშინ. მეც ეს უფრო მსიამოვნებს, ვიდრე, როცა იცი, რომ რაღაცას მაინც მოგართმევენ, თუმცა ეს დღესასწაულები ჩვენს ოჯახში მაინც საინტერესოდ აღინიშნება. ჩემი შვილი უმეტესად ყვავილებს მჩუქნის ხოლმე, ადრე, როცა თვითშემოქმედებით იყო დაკავებული, თავის დახატულ მისალოც ბარათებს მჩუქნიდა. მსგავსი ტიპის ბევრი ბარათი მაქვს შენახული, რაც ჯერჯერობით ყველა საჩუქარზე ძვირფასია. საერთოდ კი, ყველაზე ძვირფასი საჩუქარი სიყვარულია. მეუღლე სამკაულებით და სუნამოებით მანებივრებს. ჩემი გემოვნება ამ კუთხით კარგად აქვს შეცნობილი. მე, პირველ რიგში, როგორც ოჯახის დიასახლისი, დედა და მეუღლე, მაქსიმალურად ვცდილობ არ მოვაკლო ყურადღება და მზრუნველობა მათ. ქალები იშვიათად აფასებენ ღირსეულად თავიანთ შრომას, ხშირად მას მძიმე და მომაბეზრებელ ოჯახურ მოვალეობად თვლიან. მე ასე ნამდვილად არ მიმაჩნია, პირიქით, ეს ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა. ხანდახან, თუ ისე ხდება, რომ სამსახურებრივი საქმე მეძალება და მეტ დროს მას ვუთმობ, ასე მგონია, რაღაც დანაშაული მიმიძღვის ოჯახის წინაშე, ამიტომ უნივერსიტეტის შემდეგ მთელი ყურადღება ოჯახის წევრებზე გადადის და სამსახურის საქმისთვის უფრო გვიან, საღამოს, 11 საათიდან ვიცლი და შემიძლია მშვიდად და სიამოვნებით ვიმუშაო დიდხანს, რადგან პროფესიული მოვალეობაც სრულყოფილად შევასრულო და მეორე დღეს სტუდენტების წინაშე წარვდგე ისე, როგორც ლექტორს შეეფერება – აკადემიურადაც და ფიზიკურადაც, რადგან სტუდენტის თვალს და ყურს არაფერი გამოეპარება.

შეიძლება ითქვას, როგორ შეიძლება ქალმა მოახერხოს ერთდროულად იყოს კარგი დედა, ღირსეული მეუღლე, წარმატებული კარიერაში და მუდმივად ფორმაში. პასუხი ერთ მარტივ სიტყვაშია – ბალანსი. სწორად განაწილებული დრო - გააზრებული ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და სამუშაო საათების პროდუქტიულად გამოყენება, ქალისთვის ყველა ,,ფრონტზე" წარმატების წინაპირობა ხდება.

ვსარგებლობ შემთხვევით და უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელ მანდილოსანს ვულოცავ გაზაფხულის ამ ლამაზ დღესასწაულებს, ვუსურვებ უდიდეს ქალურ ბედნიერებას, წინსვლასა და წარმატებებს კარიერასა და პირად ცხოვრებაში.

ნათია ფარტენაძე
ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტის ასისტენტ
პროფესორი

გაზაფხულის მოსვლას გილოცავთ, ქალბატონებო!

დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ, ქალბატონებო! გაზაფხულივით ლამაზი , სიხარულითა და სიყვარულით სავსე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება.

ქალებს განსაკუთრებით გვიყვარს გაზაფხულის დღესასწაულები, ჩვენში ხომ განსაკუთრებულია ქალისა და დედის სტატუსი.

მე წელს პირველად მომილოცეს ჩემმა ტყუპმა გოგონებმა დედის დღე. ეს ამაღლებული განწყობა დიდხანს გამყვება. საოცარია თურმე, ქალმა ერთდროულად შეითავსო დედობა, ქალობა და კარიერა.

დედობა ყველაზე ამაღლებული გრძნობაა. ყველა ქალის უპირველესი მოვალეობაა, რომელსაც სიამოვნებით ეჭიდები. სიამოვნებით ათენებ ღამეებს, შვილებთან ერთად სწავლობ სიარულს, ლაპარაკს, სიყვარულსაც კი და ისე იზრდები.

ყველა ქალის ცხოვრებაში დამდგარიყოს დღე, როცა თქვენი შვილი დამარცვლით გაიმეორებს ნაკარნახევ სიტყვებს ,, დედიკო, გილოცავ დედის დღეს“.

ია მესხიძე, ფინანსების, აღრიცხვის და აუდიტის
დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

სასიამოვნო დამთხვევაა, რომ ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნება მარტის დასაწისში. მარტი ხომ გაზაფხულის მახარობელია, გაზაფხული კი, სრულიად სამართლიანად, ოდითგან, სითბოს, სილამაზის, სიყვარულის სიმბოლოდ მიიჩნევა.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ საშუალება მეძლევა გულითადად მივულოცო გაზაფხულის ბრწყინვალე დღესასწაული მშვენიერი სქესის ყველა წარმომადგენელს, პირველ რიგში კი ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის ქალბატონებს. მათ შორის განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული მინდა გამოვხატო უფროსი თაობის წარმომადგენლების, ჩვენი საყვარელი მასწავლებლების მიმართ, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენი სპეციალისტებად ჩამოყალიბების და საზოგადოებაში ინტეგრირების საქმეში, რომლებიც ძალ–ღონეს არ იშურებენ და ზრდიან მაღალკვალიფიცერებულ კადრებს. ჩვენო ძვირფასებო, დიდი მადლობა თქვენ ამ შეუფასებელი ღვაწლისათვის, კვლავაც მრავალი დღესასწაული მოგველოცოს თქვენთვის.

ასევე სულითა და გულით ვულოცავ ჩემი თაობის წამომადგენლებს, სტუდენტობის მეგობრებიდან დაწყებული დღევანდელი კოლეგებით დამთავრებული. გაზაფხულის მშვენიერ დღესასწაულს ვულოცავ, ლამაზ მომავალს, დიდ ქალურ ბედნიერებას ვუსურვებ ჩვენს ახალგაზრდობას, ყველა სტუდენტ გოგონას.

გაიხარეთ და გალაღდით ძვირფასო ქალბატონებო, მარად გაზაფხული სუნთქავდეს თქვენს სულში.

ლელა ბერიძე, საბაზისო მედიცინის
დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

ჯეიკანა, რომელიც გულგრილს არავის ტოვებს

ბოლო წლებში, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმებისას ამერიკულ გამოცდილებაზე საუბარმა გამიჩინა სურვილი უკეთ გავცნობოდი მას, მაგრამ ამერიკაში მოგზაურობაზე არასოდეს მიფიქრია. იგი იმდენად შორეულ და მიუწვდომელ ქვეყნად მიმაჩნდა (გამოგიტყდებით, ბებერი ევროპა გაცილებით მიმზიდველი და საინტერესო იყო ჩემთვის), რომ მიკვირდა კიდეც ამ ქვეყნისაკენ სხვათა დაუოკებელი სწრაფვა. ამ მოგზაურობამ კი ფარდა ახადა ყველაფერს, ჩემი თვალით დავინახე და შევიგრძენი ამერიკის მომაჯადოებელი ხიბლი. ამის შესაძლებლობა ამერიკის განათლების სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამამ „INTERNATIONAL VISITOR LEADERSHIP PROGRAM“ მომცა, რომლის ძირითადი თემა გახლდათ საუნივერსიტეტო ინდაუმენტები (შენაწირი) აშშ-ში. პროგრამა ხორციელდებოდა სამი კვირის განმავლობაში და მოიცავდა ქვეყნის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრებისა და ცნობილი უნივერსიტეტების მმართველობითი სისტემების გაცნობას.

ვაშინგტონი თოვლის ფიფქებით შეგვეგება. ძალიან უხდება მას თეთრი საბურველი, უფრო რომანტიულსა და მიმზიდველს ხდის. იგი გაჯადოებს თავისი სისადავითა და გრანდიოზულობით. მისი არქიტექტურა მონუმენტურია და თითოეულ დეტალში გარკვეული სიმბოლიკა იკითხება. ვაშინგტონი თავიდანვე დედაქალაქად დაიგეგმა. თითოეული დეტალი იმდენად ზუსტად განისაზღვრა, რომ დღესაც განაშენიანება იგივე სისტემით მიმდინარეობს. აქ ვერ შეხვდებით ამერიკისათვის სახასიათო ცათამბჯენებს, მიუღებელია რომელიმე შენობა კონგრესის შენობაზე მაღალი იყოს, რომლის გუმბათი შტატების ერთიანობისა და თანასწორობის სიმბოლო გახლავთ. აქ მივხვდი, თუ რას ნიშნავს ამერიკული პატრიოტიზმი, იგი საქმით, მეცენატობითა და ფილანტროპიით გამოხატული რეალობაა და ამით ამერიკელები ამაყობენ კიდეც. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ სმიტსონმა ამერიკელ ხალხს თავისი ქონება უანდერძა იმ მიზნით, რათა ყველა მუზეუმი ნებისმიერი მსურველისათვის უფასო ყოფილიყო. დღეს კი სმიტსონიანების ინსტიტუტი 6 სხვადასხვა თემატიკის გრანდიოზულ მუზეუმს მოიცავს, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს ამერიკის წარსული და დღევანდელობა, კლასიციზმი და მოდერნიზმი.

ამერიკის განათლების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად

ამერიკული განათლების სისტემის, მისი დაფინანსებისა და ფონდირების გაცნობა განათლების სახელმწიფო დეპარტამენტიდან და სახელმწიფო აკრედიტაციის ცენტრიდან დავიწყეთ. ისევე, როგორც ჩვენთან, ამერიკის უნივერსიტეტებიც ორგვარია - სახელმწიფო და კერძო, თუმცა მათ ბევრი საერთო აქვთ. პირველი, რასაც ყველა ერთხმად აღნიშნავდა არის ის, რომ უნივერსიტეტი ცდილობს აღზარდოს უპირველესად საზოგადოების წევრი და მერე პროფესიონალი და ამისთვის სასწავლებელი პირველი დღიდან ზრუნავს, ცდილობს სტუდენტისთვის სწავლა იყოს ბედნიერების მომტანი და ამაში ნებისმიერ უნივერსიტეტში სტუმრობისას რწმუნდები. თუმცა სასწავლებელი არანაკლებად ზრუნავს პროფესორზე და ამიტომაც ბიუჯეტის ნახევარზე მეტი პროფესიულ ზრდასა და ტრენინგში მიდის. თავად პროფესორი კი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს ინდაუმენტში დებს, რითაც უნივერსიტეტის განვითარებას უწყობს ხელს. იგი უნივერსიტეტს ეხმარება იმითაც, რომ ახალგაზრდას არა მარტო გარკვეულ დისციპლინას შეასწავლის, არამედ მასში იმ მარცვალს აღვივებს, რასაც უნივერსიტეტის სიყვარული ქვია, რადგანაც ეს არის კავშირი მთელი ცხოვრების მანძილზე, რადგან თავად კურსდამთავრებულები ხდებიან შემომწირველები და მათთვის დიდი პატივია საუნივერსიტეტო წინსვლაში მონაწილეობა. თავის მხრივ უნივერსიტეტი პატივს მიაგებს ამ ადამიანებს. მაგალითად, ერთ-ერთ უნივერსიტეტში ე.წ. „სალოცავი“ კედელიც კი აუგიათ, რომელზედაც ამოტვიფრული იყო ყველა იმ ადამიანის სახელი, ვინც გარკვეული თანხა გაიღო უნივერსიტეტისათვის და შედეგმაც არ დაყოვნა, მალევე უნივერსიტეტის ინდაუმენტი 5-დან 15 მილიონამდე გაიზარდა.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამერიკული აკრედიტაციის სისტემის გაცნობა, რაც როგორც ფედერალურ, ასევე სახელმწიფო აკრედიტაციას ეყრდნობა. ეს ორი სფერო ერთმანეთისგან გამიმდინარეობს, ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთს ეფუძნება. აკრედიტაციას უნივერსიტეტი 5-დან 10 წლამდე ვადით იღებს. ეს რთული და მრავალწლიანი პროცესია, რომელიც მხოლოდ ერთჯერად შემოწმებასა და ერთჯერად დასკვნას კი არ ეფუძნება, არამედ რამდენიმეწლიანი დაკვირვებისა და დასკვნების შეჯერების შედეგზეა დაფუძნებული. მაგალითად ინსტიტუციური აკრედიტაცია მიმდინარეობს ორი წლის მანძილზე და იგი მრავალ სფეროს მოიცავს, ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

ამერიკაში სასაწავლო დაწესებულებები ითვლებიან არამომგებიანად და გათავისუფლებული არიან მოგების გადასახადიდან. ისინი ფინანსდებიან, როგორც ინდაუმენტის პროცენტისგან, ასევე სახელმწიფო და ფედერალური ბიუჯეტიდანაც. აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ ამერიკული სისტემაა და ევროპისთვისაც იგი უცნოა. საინტერესოა ინდაუმენტის პრინციპი, რაც ხელშეუხებელი, მუდმივად ზრდადი თანხაა, სამაგიეროდ უნივერსიტეტს აქვს უფლება იგი ნებისმიერ ბიზნესში დააბანდოს (თუმცა არასოდეს ჩადებს ფულს იქ, რაც მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება) და მოგების პროცენტი საჭიროებისამებრ გამოიყენოს. თანხებს განკარგავს უნივერსიტეტის ბორდი (სამეთვალყურეო საბჭო), პროცესი სრულიად გამჭვირვალეა, სასწავლო წლის ბოლოს კი ადმინისტრაცია და ფინანსური სამსახური ვალდებულია სრული ანგარიში წარუდგინოს როგორც ბორდს, ასევე უნივერსიტეტს და თითოეულ დამფინანსებელს. ეს კი თავის მხრივ ზრდის ნდობის ფაქტორს როგორც დამფინანსებლებში, ასევე სტუდენტებში, რაც თავისთავად გულისხმობს ახალი ფინანსების შემოდინებას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის დიდი ნაწილი ე.წ. სკოლარშიპებზე, ანუ სტუდენტთა დაფინანსებაზე მოდის. ნებისმიერს შეუძლია აიღოს უნივერსიტეტის გრანტი და საკუთარი სწავლა დაიფინანსოს. ხოლო სტუდენტი, რომლის ოჯახის წლიური შემოსავალი 60 ათასზე ნაკლებია, საერთოდ თავისუფლდება გადასახადისაგან. კიდევ ერთი, ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი დეტალი გახლდათ ის, რომ მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესი, ყველას ჰყავს თავისი სპორტული გუნდი, რაც უფრო საინტერესოს ხდის სტუდენტურ ცხოვრებას. ყველაფერი ეს სახასიათოა ყველა უნივერსიტეტისათვის, თუმცა ცალკე აღებული თითოეული ინდივიდუალურობით გამოირჩევა, რაშიც რამდენიმე უნივერსიტეტის ახლოს გაცნობამ დაგვარწმუნა.

ვაშინგტონის ერთ-ერთი კოლორიტული უბანი ჯორჯთაუნია. აქ სრულიად ქრება დედაქალაქის მონუმენტურობა და პატარა სახლებს, ქვაფენილით მოკირწყლულ ქუჩებსა და კოხტა კაფეებს საოცრად მომხიბვლელ სამყაროში გადაყავხარ. სწორედ აქ ორასი წლის წინ იეზუიტებმა დააარსეს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, რომლის ძველი კედლები შთამბეჭდავ სანახაობას ქმნიან, მაგრამ მათ მიღმა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სისტემის განათლების კერაა. იგი ათეულ ათას სტუდენტსა და რამდენიმე ფაკულტეტს ითვლის. ფაკულტეტები თავად არიან პროგრამების ეფექტურად წარმართვის განმსაზღვრელნი, ამიტომაც ბიუჯეტს ისე მიმართავენ, რომ არ დათმონ პოზიციები და შეინარჩუნონ გამოცდილებით მიღებული უპირატესობა.

ვაშინგტონის შემდეგ ატლანტა გველოდა, ქალაქი სადაც თვალშისაცემი ხდება ამერიკული ცხოვრების რიტმი. აქ ყველა ფეხის ნაბიჯზე აშკარაა ტექნოლოგიური პროგრესი. ამ ქალაქში იგრძნობა სამხრეთული სითბო, ცათამბჯენების გვერდით სამოქალაქო ომისდროინდელი შენობებია, თავისი პირვანდელი სახითაა შენარჩუნებული მარგარეტ მიტჩელის სახლი, რომელიც ტარას მოგაგონებთ. აქ არის საოცარი სინთეზი ძველისა და ახლის.

აქ ოთხი უნივერსიტეტი მოვინახულეთ, ჯორჯიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ემორი ჯორჯიას ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და მორჰაუსი. მათ დაფინანსება როგორც ფედერალური და სახელმწიფო ფონდებიდან გააჩნიათ, მაგრამ ამავე დროს აქვთ საკუთარი ინდაუმენტი და ფინანსების განკარგვის ერთიანი სისტემა, რაც ფაკულტეტებს შორის შეთანხმებასა და ერთიანი პროექტით მოქმედებას გულისხმობს. თუმცა აქაც, ისევე როგორც სხვა უნივერსიტეტებში, პოლიტიკას ბორდი განსაზღვრავს. ემორის უნივერსიტეტი გამორჩეულია თავისი სამედიცინო სკოლითა და საუნივერსიტეტო კლინიკებით. თავისი ინდაუმენტით (5.5მლრდ) იგი მე-16 ადგილზეა. ეს ბიუჯეტის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს და ყოველწლიურად მისი მოგების მხოლოდ 5 პროცენტს (200 მლნ) მოიხმარენ. მართალია ინდაუმენტისა და ბიუჯეტის სამართავად 100-ზე მეტი კომპანიაა დაქირავებული, მაგრამ მართვის პროცესი სრულიად გამჭვირვალეა და მუდმივი თვალყურია ხარისხობრივ და თვისობრივ (რაოდენობრივ) სტატისტიკაზე, ყოველივე ამის შემდეგ არ გაგვკვირვებია საუნივერსიტეტო ბაზებისა და კვლევების მასშტაბები.

ჯორჯიას ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (კოკა-კოლამ მას ყველაზე დიდი ინდაუმენტი მისცა) გაცნობის შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ მომავალი პროფესიული განათლებისათვის მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინარული სწავლება. აქ მოქმედებს კომპიუტერულ-ფინანსურ მიმართულება და ბიო-მედიკო-საინჟინრო სკოლა. უნივერსიტეტის 6 სკოლაში 22 ათასი სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტი 700-დე პატენტის მფლობელია და დაახლოებით 700 მლნ-ს ხარჯავს ყოველწლიურად კვლევებზე. სტუდენტების 40 პროცენტი გაცვლითი პროგრამით სწავლობს, განსაკუთრებული აქცენტი კი სადოქტორო კვლევებისკენაა მიმართული. უნივერსიტეტს საერთაშორისო პროგრამებიც გააჩნია და მნიშვნელოვანი საფეხბურთო გუნდისა და სტადიონის მფლობელიცაა.

ჯერზე საოცარ შოუს მართავენ, რათა იქ მყოფთა ყურადღება მიიპყრონ და სულ ახლად დაჭერილ კიბორჩხალებსა თუ კრევეტებს გთავაზობენ. აქ პოლიცია ცხენზე ამხედრებული დადის და ქუჩაში შემთხვევით ფლეშმობის მომსწრეც შეიძლება გახდეთ. სიეტლის „ნემსის ყუნწიდან“ ყველაფერი ხელისგულივით მოსჩანს და შეუძლებელია ერთხელ ნახო და არ შეიყვარო. ეს ბილ გეიტსის ქალაქია. აქ წარმატებით მოქმედებს დედის სახელზე გახსნილი მერი გეითსის ფონდი, რომელიც არა მარტო უნივერსიტეტებზე, არამედ მოსწავლეებისა და სტუდენტების დაფინანსებაზე ზრუნავს. ამ ფონდში ატარებენ დიდი დროს ახალგაზრდები, სტუდენტები, სადაც გრანტის ყოფილი მფლობელები ახალბედებს ასწავლიან პროექტების წერას, განხორციელებას და ყოველწლიურად მართავენ მათ გამოფენას.

სწორედ მერი გეითსის ფონდმა 1995 წელს ყველაზე დიდი ინდაუმენტი მისცა ვაშინგტონის უნივერსიტეტს სიეტლში. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და სპეციფიკის გაცნობამ ცხადყო, რომ იგი ერთ-ერთი წარმატებულია ქვეყანაში. ყველაფერი მოწყობილია ისე, რომ სტუდენტმა თავი კომფორტულად და ბედნიერად იგრძნოს. მრავალი კამპუსისგან ერთ მთლიანობად შეკრული უნივერსიტეტის შიგა ეზოში ძველი დახავსებული ქვის სკამები და შენობები გამცნობენ, რომ იგი ასწლეულებია არსებობს. საკურას ბაღს, კი გაზაფხულზე ვარდისფრად აფეთქებულსა და მწვანენში ჩაფლულს თუკი ზემოდან გადმოხედავთ უნივერსიტეტის სიმბოლოს ამოიკითხავთ. ძველისძალზე საინტერესო იყო ისტორიული უნივერსიტეტის მორჰაუსის მონახულება. იგი სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ დაუარსებიათ აფროამერიკელებისათვის, რათა მონობისგან გათავისუფლების შემდეგ მათთვის განათლება მიეცათ. აქ სწავლობდა მარტინ ლუთერ კინგი, რომლის სახელსაც დღეს იგი ატარებს. აღსანიშნავია ის, რომ აქ დღესაც ძირითადად აფროამერიკელები სწავლობენ როგორც საბაკალავრო (ოთხწლიან), ასევე პროფესიულ (ორწლიან) კურსებზე. ეს სასწავლებელი დიდი ტერიტორიაზეა გაშენებული მრავალი საცხოვრებელი და სასწავლო კამპუსით. იგი აღჭურვილია უმაღლესი დონის აპარატურითა და ლაბორატორიებით. უნივერსიტეტის ინდაუმენტი 130 მლნ დოლარია, რომელიც ყოველ წელს იზრდება.

ამერიკის დასავლეთით, წყნარი ოკეანის სანაპიროზე ქალაქი სიეტლი გველოდა და იგი პირველივე ნახვით შეგვიყვარდა. ყველა ქუჩაზე ჯაზის მომაჯადოებელი ჰანგები ისმის, საღამოობით კი კლუბებში ცოცხალი ჯაზის მოსასმენად გეპატიჟებიან. მხოლოდ აქ შეხვდებით ლურჯად შეღებილ ხეებს და ფერადი მინის მცენარეებს, ათასფრად მოელვარე ბაზარს, სადაც ბოსტნეულის, ხილისა და ზღვის პროდუქტების სიჭრელე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მეთევზეები ყოველ ბიბლიოთეკაში შესულთ კი სიჩუმე შემოგეგებებათ, მართალია სტუდენტებითაა იგი სავსე, მაგრამ თითოეული მათგანი წიგნის სამყაროში ჩაძირული და ვერც კი ამჩნევს უცხოთა დაჟინებულ მზერას.

კიდევ ერთი უნივერსიტეტი, რომელიც 100 წლის წინ იეზუიტებმა დაარსეს სიეტლის უნივერსიტეტია. უნივერსიტეტის მისია პიროვნების სულიერ აღზრდას, პროფესიონალად ფორმირებასა და სოციალურ ღირებულებათა განვითარებას ეფუძნება. სწავლება აქ დაფუძნებულია კვლევებზე. სიეტლის სითი უნივერსიტეტი კი გამოირჩევა თავისი ონლაინ კურსებითა და პროგრამებით.

კოლორიტული სიეტლის შემდეგ პიტსბურგი გველოდა, ყოფილი მეტალურგების ქალაქი, სადაც ომის დროს მსოფლიო ფოლადის უდიდეს ნაწილს დეიდ კარნეგი აწარმოებდა (იგი შემდეგ ცნობილი ფილანტროპი გახდა, მათ შორის კარნეგი ჰოლის დამფინანსებელი). იგი ენდი ვორჰორნის ქალაქიცაა. მიუხედავად იმისა, რომ კარნეგისდროინდელი შავი კვამლი ქალაქში აღარ შეიმჩნევა, ქუჩებში ხეტიალისას სევდა გეუფლება, აქ ერთ დროს (მას შემდეგ, რაც მეტალურგიული ქარხნები დახურეს) დიდი დეპრესია სუფევდა. მაგრამ სახელმწიფომ შეძლო და ქალაქი სხვა რელსებზე გადაიყო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კი განათლება გახლდათ. აქ ორი დიდი უნივერსიტეტია კარნეგი-მელონი, რომელმაც სამუდამოდ უკვდავყო თავისი ყველაზე დიდი დამფინანსებლების კარნეგისა და მელონის სახელები და პიტსბურგის უნივერსიტეტი, რომელსაც კარნეგიმ მილიონიანი ინდაუმენტი გამოუყო. კარნეგი მელონი ცნობილია თავისი ტექნოლოგიური, ფარმაციული და სამედიცინო მიმართულებით. მას 26 საავადმყოფო გააჩნია. აქ ინვესტიციებისათვის მათემატიკისა და ფიზიკის ფორმულებს გამოიყენებენ, რითაც გათვლიან ბიზნესის რისკებს. პიტსბურგის უნივერსიტეტიც გამოირჩევა თავისი სამედიცინო სკოლით, სადაც დაინერგა გულისა და ხელის გადანერგვის თანამედროვე ტექნოლოგიები. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ორი უნივერსიტეტი შეთანხმებულად მოქმედებს და ცდილობს ერთიანი კვლევითი პროექტები განახორციელონ.

პიტსბურგის შემდეგ ნიუ იორკი გველოდა. როდესაც ილუმინატორიდან თავისუფლების ქანდაკება დავინახე, ყველასთვის კარგად ცნობილი ფილმების კადრებმა გაირბინეს ჩემ თვალწინ და მივხვდი, თუ რას გრძნობდნენ ის ადამიანები, რომლებიც მრავალი ხიფათის მიუხედავად აქეთკენ მოილტვოდნენ თავიანთი ამერიკული ოცნების ასახდენად. ეს ქანდაკება, რომელიც თავის დროზე ფრანგებმა უსახსოვრეს ამერიკელებს, საოცარი ენერგიის მატარებელია.

ნიუ იორკი არის ქალაქი, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს ამერიკული ცხოვრების რიტმს და გაჯადოებს თავისი გრანდიოზულობით. მას არასოდეს სძინავს, შეგიძლია ნებისმიერ დროს ნებისმიერი სურვილი აიხდინო და დროის შეზღუდულობა არ იგრძნო. მანჰეტენი ნიუ იორკის გულია (იგი ევროპელებმა სულ რაღაც 25 დოლარად იყიდეს ინდიელებისაგან), თაიმ სქუერზე ხვდები, თუ რა შეუძლია ადამიანის გონებისა და ტექნოლოგიის სინთეზს. ქალაქის დაჩოქება და ხალხის დაშინება სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ, პირიქით 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ აქ უფრო მეტი ადამიანი ჩამოვიდა საცხოვრებლად და ტყუპების ადგილას, დალუპულთა მემორიალის გვერდით, დასტურად იმისა, რომ ქალაქი ძველი ცხოვრებით აგრძელებს ცხოვრებას, უფრო გრანდიოზული ბიზნესცენტრი შენდება. თითქოს იარები მოუშუშდა, მაგრამ როდესაც ტყუპების წინ მდგარ წმინდა პეტრეს ტაძარში შედიხარ, კიდევ ერთხელ უბრუნდები წარსულს და სასწაულებისა გჯერა. ეს ტაძარი მხოლოდ რამდენიმე მეტრით გახლდათ დაშორებული ტყუპებისაგან და როდესაც აფეთქებამ ირგვლივ ყველაფერი აღგავა პირისაგან მიწისა, როდესაც ქვა ქვაზე დადუღდა, ტაძარი შეურყევლად იდგა, ერთი მინაც კი არ ჩამსხვრეულა და იგი იმ ტრაგიკული დღეების მემორიალად იქცა.

ბროდვეიზე, გარედან ერთი შეხედვით ჩვეულებრივი შენობის ზღურბლს მიღმა, თანამედროვე ნიუ ორკი გავიწყდება და გგონია რომ აქ დრო გაჩერდა. იხსნება თეატრის ფარდა და შენს წინაშე საოცრება იწყება. იწყება სპექტაკლი, რომლის დეკორაციები, ხმა, მუსიკა, კოსტიუმები ტექნოლოგიური პროგრესისა და უკვდავი ხელოვნების სინთეზია. ირგვლივ ყველაფერი ქრება და შენ და მუსიკა არსებობთ მხოლოდ, გეშინია ამოსუნთქვის, რომ არ დაირღვევს შენს ირგვლივ გაბატონებული ჰარმონია. გამოდიხარ თეატრიდან და ისევ ქალაქის რიტმს უბრუნდები, ქალაქისა, რომელიც არ შეიძლება ერთხელ მაინც ნახო და სამუდამოდ არ შეგიყვარდეს.

ბრუკლინის ხიდების ნახვისას შიში და აღფრთოვანება ერთდროულად გიპყრობს. ისინი თითქოს ცაში გამოკიდებულან. ცენტრალური პარკის შესასვლელთან ი ბავშვობაში ბრუნდები. ზამთარშიც კი ძალიან ლამაზია იგი. დადიხარ ბილიკებზე, ფანტაზიით გაზაფხულზე აყვავებულ, ზაფხულში შეფოთლილ, ან შემოდგომაზე მრავალფრად აელვარებულს წარმოიდგენ და ხედები რატომ უყვართ იგი ასე. ირგვლივ შემოჯარული გრანდიოზული შენობები მზრუნველი მშობლებივით გარშემორტყმიან პარკს და თითქოს უნდათ, რომ მოეფერონ შენობათა ჯუნგლებში მოქცეულ პატარა ოაზისს (პატარა შედარებითი მცნებაა, რადგან პარკი ათასობით ჰექტარზეა გაშენებული). უზვეულო ყინვისგან მობუზული მტრედები შუქნიშნის ბოძზე შემომსხდარან და გაზაფხულს ელიან. მეტროპოლიტენ ოპერაში კი საერთოდ არ იგრძნობა ზამთრის სუსხი, აქ დილიდან ხალხმრავლობაა, აფიშა კი იუწყება, რომ დღეს კარმენის პარტიას ანიტა რაჭველიშვილი შეასრულებს. გული სიამაყით გევსება, როცა ამ მეგაპოლისში ქართულ გენს აღმოაჩენ.

ნიუ იორკიდან საათნახევრის სავალზე იელის უნივერსიტეტია, რომელთან სტუმრობასაც განსაკუთრებულად ველოდით. ის რომ საუკუნის წინ იგი რელიგიურ სკოლად დაარსდა არსად შეიმჩნევა, დღეს იგი მომავალი წარმატებული კარიერის გასაღებია. ის, რასაც ამერიკული უნივერსიტეტების ფონდირებისა და დაფინანსებების სისტემა ჰქვია და რასაც მთელი მოგზაურობის მანძილზე სხვადასხვა უნივერსიტეტში ვეცნობოდით, აქ, იელის უნივერსიტეტში ჩაისახა. დევიდ ფ. სვენსენი გახლდათ ამ სისტემის სულისჩამდგმელი და მისი წიგნი სამაგიდო სახელმძღვანელოდ იქცა სრულიად ამერიკისთვის (თითოეულ უნივერსიტეტში სტუმრობისას სწორედ სვენსენის სისტემაზე აპელირებდნენ, ეს წიგნი კი, ავტორის ავტოგრაფით, ჩემი სამაგიდო წიგნი გახდა). სწორედ მის ოფისში გამართულმა შეხვედრამ საბოლოოდ დაგვანახა ყველა დეტალი, რაც ამერიკული განათლებისა და დაფინანსების სისტემებისთვის გახლდათ მნიშვნელოვანი. ეს სისტემა ევროპაში მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს და გერმანია გახლავთ ის ქვეყანა, რომელმაც პირველმა გადაწყვიტა ამერიკული მოდელის დამკვიდრება.

იელით დავასრულეთ ამერიკული უნივერსიტეტებთან სტუმრობა. რამდენად განსხვავებულნი და ამავე დროს მსგავსები არიან ისინი. მაგრამ ერთი რამ, რაც ყველაზე მეტად ჩამრჩა გონებაში არის ის, რომ თითოეული ადამიანი, ვისაც ვხვდებოდით, უნივერსიტეტზე, როგორც მშობლიურზე, ისე ლაპარაკობს. მათ თვალებში გრძნობ იმ დიდი სიყვარულს, რაც ასეთი ბუნებრივია იქ და რასაც ჩვენში იშვიათად შეხვდებით. ისინი უნივერსიტეტის ცხოვრებით ცხოვრობენ და მის წარმატებაზე ზრუნავენ, რადგან ეს თითოეული მათგანის წარმატების საფუძველიცაა. ძალიან მინდა ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტშიც დავინახო ასეთი ანთებული თვალები.

ნიუ იორკი წვიმით გვემშვიდობებოდა და იგი უფრო იდუმალს ხდიდა ამ ქალაქს. ნისლის სუდარა მანდილივით ჩამოჰფარებოდა და ჯანღში დალანდული ამერიკის სიმბოლოც შუა ოკეანეში ამომართულ იმედის კონცხივით იდგა შეურყეველი და ვინ იცის კიდევ რამდენ ადამიანს გაუღებს იგი ფართოდ გულის კარებს და კიდევ რამდენს აუხდენს ამერიკულ ოცნებას. ადრე მეგონა, რომ ამერიკული ოცნება ვიღაცის ფანტაზიის ნაყოფი იყო მხოლოდ. აქ კი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხდება იგი ხელშესახები რეალობა. გრძნობ, რომ თავისუფალი ხარ არჩევანში, ოღონდ მოინდომე და ყველაფერი გამოგივა, ოღონდ ისწავლე და სახელმწიფო შენთვის ყველაფერს გაიღებს. ქუჩაში დადიხარ და ყველა გიღიმის, თითქოს შენი ნახვა უხარიათ, შეიძლება ეს ხშირ შემთხვევაში ხელოვნურია, მაგრამ სასიამოვნო. აქ არავინ გაგიცხავს და არავინ ჩაგიძვრება სულში, გრძნობ, რომ პიროვნება ხარ, სრულიად თავისუფალი ქმედებასა და აზროვნებაში. რიჩარდ ბახი წერდა, არის მწვერვალები, რომელზე ასვლის შემდეგ უკან კი არ ბრუნდები, ფრთებს შლი და მიფრინავ. სწორედ ამ შეგრძნებას გწუქნის ეს ქვეყანა. მე მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რატომ მოილტვის ყველა აქეთკენ, მათ ხომ სურთ შეიგრძნონ პიროვნული თავისუფლების მომაჯადოებელი სურნელი...

ინგა შამილიშვილი,
ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ფილოლოგიის დოქტორი

მენეჯმენტის მიმართულებით სწავლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოდან საქართველოში დაწყებულმა გლობალურმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა გარდაქმნებმა საწარმოო, კომერციული და სხვა სახის სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაში არსებითი ცვლილებები გამოიწვიეს. საბჭოთა პერიოდში მართვის სფეროში, როგორც მაკრო, ისე მიკროეკონომიკურ დონეზე, ძირითადი ყურადღება ექცეოდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებს, რაც სავსებით შეესაბამებოდა იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფორმაციის მოთხოვნებს. თანამედროვე ეტაპზე სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა. დღეისათვის ნებისმიერი ორგანიზაცია, საკუთრების ფორმების, საქმიანობის მიზნებისა და სფეროების მიუხედავად, იძულებულია იფუნქციონიროს მუდმივად ცვალებად და ურთიერთსაწინააღმდეგო გარემოში. ამ შემთხვევაში, ორგანიზაციისათვის მთავარია ბაზარი და მისი რეგულირების საკითხები, ამიტომ ორგანიზაციის საქმიანობა ძირითადად უნდა განხორციელდეს მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით. ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში ამიტომაც უდიდესი ყურადღება ექცევა მენეჯმენტის სწავლებას, რომელიც საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული დისციპლინაა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. უცხოეთის ცნობილ უნივერსიტეტებში მენეჯმენტის სასწავლო პროგრამები შემუშავებულია იმ დაშვებით, რომ სტუდენტები თავიანთი სპეციალობის ეფექტიანი გამოყენებისათვის უნდა ფლობდნენ მართვის არა მხოლოდ თეორიულ დებულებებს, არამედ სრულად უნდა ჰქონდეთ ათვისებული პრაქტიკული მართვის უნარ-ჩვევები. ამ თვალსაზრისით არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა საქართველოში, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაქში. ბიზნესის განვითარება კი, წარმოუდგენელია მართვის თანამედროვე კონცეფციების გამოყენების გარეშე.

ამოცანა მდგომარეობს საქართველოს ეკონომიკის მართვის სისტემის, განსაკუთრებით, ორგანიზაციის დონეზე მენეჯმენტის სრულყოფის ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების გამომუშავებასა და ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში დანერგვაში. ეს არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ დასავლეთის გამოცდილების მექანიკურ გადმოტანას, არამედ ადგილობრივ პირობებთან და თანამედროვე სიტუაციებთან მისადაგებულ მეურნეობის სისტემის ახალ მიმართულებათა და მიდგომათა შემოქმედებით ძიებას. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირება აძლიერებს მენეჯმენტის როლს არამარტო მიკრო, არამედ მაკროეკონომიკის სფეროშიც. მენეჯმენტის საფუძვლიანი შესწავლა სტუდენტებს მრავალ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გარკვევის, მისი რეკომენდაციების გამოყენებისა და წარმატებული ეკონომიკური ქმედების შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამამულო საწარმოები და ორგანიზაციები დღეისათვის უკვე აცნობიერებენ თანამედროვე მენეჯმენტის კონცეფციის გამოყენების აუცილებლობას, თუმცა, ისინი პროფესიონალ მენეჯერთა სიმცირეს განიცდიან. სამწუხაროდ, მსგავსი მდგომარეობა თვალშისაცემია სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. არადა, მოთხოვნა ასეთ სპეციალისტებზე საქართველოს შრომის ბაზარზე საკმაოდ მაღალია. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და ბიზნესის გონივრულად წარმართვას კი, ესაჭიროება პროფესიონალიზმი მენეჯმენტის სფეროში. ამ საქმეში კი დიდი როლი ენიჭება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტს, რომელიც ამზადებს როგორც ბაკალავრებს, ისე მაგისტრებსა და დოქტორებს აღნიშნული მიმართულებით. სამივე საფეხურზე სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაანალიზონ გარემო და იფიქრონ თავიანთი პროფესიის ეფექტიან გამოყენებაზე, შეაფასონ ის შესაძლებლობები, რომლებიც არსებობს და შესაძლოა, განვითარდეს საქართველოს შრომის ბაზარზე. ასეთ პირობებში ბიზნესისა და მართვის სფეროში მაღალკონკურენტული პროფესიონალის მომზადება გულისხმობს თანამედროვე მენეჯმენტის ცოდნის დამკვიდრებას, ამ ცოდნის მიღებაში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნულ სფეროში მიმდინარე მოვლენების თავისებურებათა შესწავლას კი არსებითი როლი ენიჭება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე არსებულ მიმართულებებში სპეციალისტთა მომზადების სისტემაში.

სწავლების მიზანია ღრმა საბაზო ცოდნის მიღება, უნარ-ჩვევების გამომუშავება ფირმის ეკონომიკური საქმიანობის მართვის განხორციელებაში, დაოსტატება მენეჯმენტის საკითხებზე, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარის გამომუშავება და განვითარება მართვის სფეროში მიმდინარე პროცესებზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მენეჯმენტის მიმართულებით ლექციებს კითხულობენ მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. სისტემატურად ხდება ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადება და მათი სტაჟირება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში, დამყარებულია კავშირები უცხოეთის სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებთან, ხორციელდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები, აკადემიური პერსონალი სისტემატურად იღებს მონაწილეობას და იღრმავებს ცოდნას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

ამრიგად, მენეჯმენტის მიმართულებით სწავლების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ დისციპლინის ფარგლებში მონაცემების მოპოვების, შეკრებისა და ინტერპრეტაციის უნარი, სამეცნიერო მოხსენებების მომზადებისა და პრეზენტაციის ჩვევები, აგრეთვე მეცნიერული ცოდნისა და ინფორმაციის კრიტიკული გამოყენებისა და პრობლემის გაანალიზების უნარი. ყოველივე ეს სტუდენტებს განუვითარებს კრიტიკული აზროვნების, რესურსების ოპტიმალური გამოყენების, რეალობის ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების უნარს.

ვფიქრობთ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ვახერხებთ მაღალ დონეზე წარვმართოთ სწავლების პროცესი და მენეჯმენტის სფეროში უზრუნველვყოთ კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბადრი გეჩბაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

„პირველი ნაბიჯი საქართველო"

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამრთალმცოდნეობის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობის III კურსის სტუდენტები ჯგუფის კურატორ ქეთევან ბერიძის ხელმძღვანელობით იმყოფებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციაში — „პირველი ნაბიჯი საქართველო". სტუდენტებს ორგანიზაციის საქმიანობა გააცნო ბათუმის ფილიალის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ნეიროფსიქოლოგმა ინგა ზარანდიამ. ცნობილია, რომ ორგანიზაცია 1998 წლიდან ზრუნავს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე, თუმცა ბათუმში 8 თვეა რაც ამოქმედდა ეს სამსახური, რომელიც ითვალისწინებს ადრეული განვითარების პროგრამას 0-7 წლამდე ასაკის განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის. პროგრამა ხორციელდება საქართველოს შრომისა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების" ქვეპროგრამის ფარგლებში. ადრეული განვითარების პროგრამა არის კვალიფიციური სპეციალისტების გუნდი, რომელიც ემსახურება ბავშვს და კონსულტაციას უწევს მშობლებს, იგი მთლიანადაა მიმართული ბავშვის განვითარებასადა მშობელთა მხარდაჭერაზე, აფასებს ბავშვის უნარებს, საჭიროებებს და ადგენს განვითარების პროგრამას.

ადრეული განვითარების სპეციალისტი აფასებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ, ფუნქციურ, სოციალურ-ემოციურ და კომუნიკაციურ უნარებს, მუშაობს ბავშვთან ინდივიდუალური განვითარების პროგრამით ოჯახში, ცენტრში, ბაღში, სკოლაში და სხვა ეხმარება მშობელს შვილთან მუშაობაში.

ფსიქოლოგი აფასებს ბავშვის ბაღისთვის ან სკოლისთვის მზაობას, მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ემოციურ და ქცევით მდგომარეობას; მშობელთან ერთად მუშაობს ბავშვის სოციალურ-ემოციური სირთულეების მართვაზე, ბავშვს ეხმარება ბაღში ან სკოლაში წასვლის პირველ ეტაპზე.

ოკუპაციური თერაპევტი აფასებს ბავშვის ფიზიკური თვითმოვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებს. მუშაობს ამ უნარების განვითარებაზე როგორც სახლში ისე სასწავლო დაწესებულებაში (ბაღი, სკოლა, სპორტული დარბაზი ა.შ.).

მეტყველების თერაპევტი აფასებს და ავითარებს მეტყველებისა და საურთიერთობო უნარებს. მუშაობს სამეტყველო და საარტიკულაციო აპარატის განვითარებაზე.

პედიატრი იძლევა საჭირო სპეციალისტთან მკურნალობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ადრეული განვითარების პროგრამა სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: 1. ბავშვის უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებაზე; 2. ოჯახის მხარდაჭერასა და ბავშვის განვითარებისა და აღზრდის მეთოდების შესახებ ინფორმირებაზე; 3. საზოგადოებაში ინტეგრირება - ბაღში, სკოლაში და სხვა საგანმანათლებლო, კულტურულ თუ სპორტულ დაწესებულებებში ბავშვის ჩართვაზე.

ვიზიტი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. გარდა ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობისა, დაიგეგმა სტუდენტების მოხალისეებად ჩართვა ორგანიზაციის საქმიანობაში.

ქეთევან ბერიძე, ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი

18 მარტს ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაცია „აბროგაცია“ დაფუძნდა. ორგანიზაციის თავმჯდომარე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტი დავით ანანიძეა. „აბროგაციის “ მიზანი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაა. ამ ეტაპზე ორგანიზაციაში სულ 8 სტუდენტია გაერთიანებული, თუმცა ისინი ახალი, აქტიური წევრების მოლოდინში არიან.

ახლად დაარსებულ არასამთავრობო ორგანიზაციას წარმატებები უსურვა ფაკულტეტის დეკანმა ადამ მახარაძემ, დეკანის მოადგილემ ტარიელ ებრალიძემ, პროფესორმა ომარ ფარტენაძემ. ამავე დღეს, ლექციას თემაზე „ბავშვის უფლებები და განათლების უფლება“ ბატონი დავით ჭყონია უძღვებოდა.

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის კითხვებს ორგანიზაციის თავმჯდომარე ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲜᲐᲜᲘᲫᲔ პასუხობს:

„ერთად შევცვალოთ ძველი ახლით“

— დავით, რა იყო წინაპირობა არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსებისა?

— სამი წლის წინ, როცა უნივერსიტეტში ჩავაბარე, საკმაოდ პასიურ სტუდენტად ვითვლებოდი, რაც დღეს უკვე ნამდვილად არ შეიძლება ითქვას. თუმცა იმავეს ვერ ვიტყვი ქალაქზე ან უნივერსიტეტზე. ამ მხრივ ორივე მიძინებულად მიმაჩნია. ძალიან მინდოდა და მინდა მათი გამოფხიზლება და გააქტიურება, ამიტომ საჭირო იყო რაიმე მამოძრავებელი მექანიზმის შექმნა და ეს მექანიზმი სწორედ ორგანიზაცია აღმოჩნდა. დავაფუძნეთ იგი, ჩავრთეთ სტუდენტები. მართალია რიცხობრივად ამ ეტაპზე ცოტანი ვართ, მაგრამ პრეზენტაციის შემდეგ ალბათ უფრო მეტი სტუდენტი გამოგვეხმაურება, რომლებიც ჩვენი დახმარებით გამოაფხიზლებენ საკუთარ თავს და შემდეგ, რა თქმა უნდა, საზოგადოებას.

ორგანიზაციის დაარსების ძირითადი მიზანი სწორედ საზოგადოების გააქტიურებაა უკეთესი მომავლისათვის. პასიურობითა და ძილის პოლიტიკით შეუძლებელია ნებისმიერი მიზნის მიღწევა. ჩვენ გვჯერა, რომ ახალგაზრდები გააქტიურდებიან. სოკრატეს უთქვამს: „ყველა ადამიანშია მზე-ოღონდ აცადეთ, რომ ანათოს“.

ჩვენაც გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ სწრაფად არაფერი გაკეთდება, მაგრამ გვწამს, რომ საზოგადოებაში აქტიურობის მზე აკაშკაშდება.

— რაში მდგომარეობს ახლადდაარსებული ორგანიზაციის სამომავლო მიზნები, ამოცანები და პერპექტივა?

— ორგანიზაციის მიზნებია: სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; ადამიანის (განსაკუთრებით ბავშვის) უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა; ნებისმიერი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა; საზოგადოებაში სამართლებრივი სფეროს ამაღლება. ამ მიზნების შესასრულებლად ვისახავთ შემდეგ ამოცანებს:

ვიღებთ მონაწილეობას გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში. ასევე გამოვდივართ პროგრამებისა და საგრანტო კონკურსების ინიციატორის როლში; ვმართავთ კონფერენციებს, სემინარებს, დებატებს; ვთანამშრომლობთ სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტებთან; ვეწევით კვლევით საქმიანობას.

— რა შინაარსისაა იგი?

— ორგანიზაციის მიმართ დიდი ინტერესი გამოიწვია სახელმა. „აბროგაცია“ ნიშნავს მოძველებული/ძველი კანონის შეცვლას. აქედან გამომდინარე, ჩვენ ავირჩიეთ სლოგანი: ცვლილებების დროა. ისმის კითხვა — ამ ყოველივეს რა აკავშირებს ჩვენთან?

როგორც აღვნიშნე, საზოგადოება ნაკლებ აქტიურობით გამოირჩევა, ეს კი დღემდე კანონივითაა. ჩვენ გვინდა ვუთხრათ საზოგადოებას, რომ ეს კანონი მოძველდა და შეცვლას საჭიროებს. ერთად შევცვალოთ ძველი — ახლით.

მიუხედავად იმისა, რომ ახლო ხანს დაარსა ორგანიზაცია, უკვე განვახორციელეთ გარკვეული ტიპის აქტივობები. ჩვენ ჩავატარეთ ღია ლექცია ბათუმის საქალაქო სასამართლოში თემაზე — „რა არის მოსამართლის შინაგანი რწმენა“, სადაც მომხსენებლად გვყავდა მოწვეული ამავე სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი დავით მამისაშვილი. ყოველივე ამან დიდი გამოხმაურება ჰპოვა სტუდენტებში და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მემორანდუმი გაგვეფორმებინა სასამართლოსთან და უფრო მეტად გვეაქტიურა ერთად. ასევე ჩატარდა ტრეინინგი „ა(ა)იპ“-ზე, სადაც მოვიწვიეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მთავარი იურისტი ქალბატონი ირინე ურუშაძე.

ეს იურისტებისათვის, მაგრამ გული ნუ დაწყდებათ ეკონომისტებს, ფსიქოლოგებს ან თუნდაც განათლების ფაკულტეტის სტუდენტებს. მათთვისაც გვაქვს გათვლილი სხვადასხვა აქტივობები და თანდათან შევთავაზებთ ღონისძიებებში ჩართვას.

— როგორია გაწევრიანების მსურველთა აქტივობა?

— პრეზენტაციის შემდეგ გაწევრიანების მსურველთა რიცხვმა იმატა, მაგრამ ორგანიზაცია ჯერ-ჯერობით კვლავაც ჩანოყალიბების დონეზეა და უშუალო მიღება დაიწყება აპრილის თვიდან.

გვერდში დგომისათვის კი დიდ მადლობას ვუხდი: თამარ გაბელიას, შორენა ბირკაის, ზაზა დავითაძეს, თათია თავართქილაძეს, გოჩა ვანაძეს, დავით ზოიძეს, ნესტან აბესლამიძეს, ევგენი ცეცხლაძეს და სხვებს. ეს ადამიანები არიან ის ძალა, რომლებიც ორგანიზაციას ფართო ასპარეზზე გაიყვანენ. როგორც ეზოპე იტყოდა: „ერთად ყოფნა ძალას გვმატებს“.

— გისურვებთ წარმატებებს!

ნაჩუქარი წიგნები

ჩარლზ რ. გელდნერი,
ჯ. რ. ბრენტ რითჩი.

ტურიზმი: საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია. მე-12 გამოცემა: ითარგმნა და გამოიცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის მიერ. მთავარი რედაქტორი ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი როსტომ ბერიძე.

„ტურიზმი: საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია“ სახელმძღვანელოს მე-12 გამოცემა იკვლევს ტურიზმის ძირითად ცნებებსა და შესაძლებლობებს, მიუთითებს, როგორ შეიძლება იქცეს ტურიზმი ნებისმიერი ერის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორად. მეტი ყურადღება ეთმობა ტურიზმის გლობალურ ზეგავლენას როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროზე.



წიგნი დაწერილია ფართო, გლობალური ტერმინების გამოყენებით და განიხილავს ტურიზმის საფუძვლებს, პრაქტიკასა და მიდგომებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ დარგის წარმატებას.

სახელმძღვანელო დაყოფილია ექვს ნაწილად. თითოეული განიხილავს ტურიზმის სხვადასხვა კომპონენტს, მათ ფუნქციებსა და მნიშვნელობას.

ნაწილი 1 მოიცავს ტურიზმის ფართო მიმოხილვას. სპეციალური თავები ეთმობა ტურიზმის გლობალურ ზეგავლენას, მოგზაურობის ისტორიას და კარიერის შესაძლებლობებს.

ნაწილი 2 განიხილავს სამთავრობო და კერძო სექტორის ორგანიზაციებს, ტურიზმის ორგანიზაციებს, მგზავრთა ტრანსპორტირებას, კვებისა და განთავსების მომსახურების მიმწოდებლებს, ტურისტულ აგენტებსა და ტუროპერატორებს, ტურისტულ სანახაობებს.

ნაწილი 3 აანალიზებს მოგზაურობის მოტივაციას, სამოგზაურო ქცევებს და ტურიზმის სოციოლოგიას.

ნაწილი 4 ეთმობა ტურიზმის დაგეგმვასა და ტურიზმის კომპონენტების შესწავლას, ტურიზმის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, ტურიზმის მიწოდებას, მოთხოვნის პროგნოზს, ტურიზმის ეკონომიკურ გავლენას და გარემოს დაცვის საკითხებს.

ნაწილი 5 განიხილავს ტურიზმის კვლევისა და დარგის მარკეტინგის მნიშვნელოვან სფეროებს.

ნაწილი 6 შეეხება ტურიზმის განვითარების პროგნოზს 2020 – 2030 წლებში და გვთავაზობს, თუ როგორ შეუძლია დღევანდელ ინდუსტრიას მოემზადოს ხვალინდელი გამოწვევებისათვის.

წიგნი რეკომენდებულია ტურიზმის სპეციალობათა სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის, ტურიზმის ინდუსტრიის კომპანიების მფლობელებისა და მენეჯერებისათვის, აგრეთვე ტურიზმით დაინტერესებული მკითხველისათვის.

გამოვიდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების ნინო ლომთათიძისა და ნარგიზ ალასანიას წიგნი ,,ანთროპოეკოლოგია”.

წიგნში განხილულია ადამიანის ეკოლოგიის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ეხება ადამიანთა საზოგადოებისა და გარემომცველი ბუნებრივი თუ სოციალური გარემოს კანონზომიერებებს, ეკოსისტემების, ბიოსფეროსა და ადამიანთა საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებებს, ადამიანის ეკოლოგიის, როგორც სინთეზური მეცნიერების, ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.



ანთროპოეკოლოგია კომპლექსური ანთროპო-ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებაა, სადაც სოციალური, ეკონომიკური და ბუნებრივი პირობები განიხილება, როგორც ადამიანის არსებობისათვის თანაბარი მნიშვნელობის ფაქტორები. „ადამიანის ეკოლოგიის” ცნების ქვეშ იგულისხმება მთელი ეკოსისტემის ეკოლოგია. სახეობა Homo sapiens ქმნის პოპულაციის გავრცელების ფართო არეალს, რომელიც განიხილება, როგორც სუბსტრატი, რაზედაც რეალიზდება ადამიანის ფსიქიკური, სოციალური, კულტურული და სულიერი არსება.

წიგნში ზოგადად არის ახსნილი ის აბიოტური, ბიოტური და ანთროპოგენური ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ადამიანზე მისი წარმოშობის გარიჟრაჟიდან დღემდე. გარემოს ანთროპოგენური დაბინძურების მიზეზები, წყაროები და შედეგები.

განხილულია ასევე შემდეგი საკითხები: ანთროპოგენეზის ეტაპები, ადამიანთა რასები, ატმოსფეროს შემადგენელი აირების, ტემპერატურის, სინოტივის და წნევის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, დიდ ქალაქებში (მეგაპოლისებში) ცხოვრების თავისებურებანი და გავლენა ადამიანზე, მეტეოდაავადებები და მეტეომგრძნობელობის ფორმები ადამიანში, მოსახლეობის ჯანმრთელობის შეფასების ინდიკატორი, გარემო პირობების ნორმირების ხარისხი. ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების ეკოლოგიური კრიტერიუმი. განსხვავებული გეოგრაფიული არეალის და არასტანდარტული საკვები პროდუქტებით გამოწვეული დაავადებანი. ადამიანთა კვების ეკოლოგიურ-ჰიგიენური პრობლემები.

მოცემულია თამბაქოს, ტოქსიკური ნივთიერებების და პესტიციდების, მზის რადიაციის, გარემოს მუტაგენების, გეომაგნიტური ველის, კომპიუტერის და მობილური ტელეფონის, ოზონის შრის, წყლის რესურსების დამაბინძურებლების, უარყოფითი ზეგავლენა შედეგები ადამიანზე.

ავტორებს განხილული აქვთ ჰარმონიული საცხოვრებელი გარემოს შექმნა ოთახის მცენარეთა და ვიდეოეკოლოგიის მეთოდით. „ვიდეო“ – არის ყველაფერი, ის რასაც ხედავს ადამიანი მხედველობის ორგანოს მეშვეობით, ნათქვამია თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის ვიზუალური გარემომცველი გარემოს ზეგავლენას.

წიგნი განკუთვნილია როგორც საბუნებისმეტყველო და მედიცინის მიმართულების სტუდენტებისათვის, ასევე დაინტერესებული მკითხველისათვის.

მოამზადა
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

„ყნოდეთ საკუთარ თავს ხელოვანი"

მოდა ყველაზე დიდი თავისუფლებაა, რომელიც იქმნება ყველაზე დიდი შეზღუდვებით.

მოდა გამომსახველობის გაბატონებულ მიმდინარეობას მიუთითებს, თუმცა ხშირად ასევე ასახავს გამოსახვის კერძო მანერას, სტილს, რომელიც ყველასთვის დამახასიათებელი არ არის. ამ ტერმინს ხშირად დადებითი მნიშვნელობა ენიჭება და სტილისა და მომხიბვლელობის სინონიმია, თუმცა ხანდახან მოდას ნეგატიური მნიშვნელობაც აქვს, როგორც ყოფიერებისა და მატერიალიზმის სინონიმს. მოდა, მოდა, მოდა... ეს სიტყვა გვესმის ყოველდღე, მიუხედავად ამისა არასოდეს გვბეზრდება მასზე საუბარი. რატომ? იმიტომ რომ მოდის უმთავრესი კომპონენტი ცვლილებებსა და სიახლეებს ეხება. მოდის მნიშვნელობა თითოეული ადამიანისთვის განხსვავდება, ზოგისთვის მოდა ის არის რაც მოსწონს, ან რაშიც თავს კომფორტულად გრძნობს, ზოგისთვის უახლესი კოლექციები ცნობილი დიზაინერებისგან, ან მხოლოდ ხელოვნება.მოდა არის საკუთარი თავის გამოხატვა, რომელიც ხალხს აძლევს საშუალებას მოირგოს სხვადასხვა როლი ამ ცხოვრებაში.

საინტერესოა თვალი გადავალოთ მოდის ისტორიას, თუ როგორ ჩამოყალიბდა ადამიანთა ცხოვრების ერთ-ერთ წარმმართველ ფაქტორად, თუმცა მთლიანად ისტორიის მიმოხილვა შორს წაგვიყვანს, უმჯობესია გავიხსენოთ პიროვნება, რომელმაც დაამკვიდრა თანამედროვე მოდა, ტენდენციები, რომლითაც ხელმძღვანელობენ მაღალი მოდის სახლები თუ უბრალო ადამიანები. მოდის სფეროში რევოლუციონერად აღიარებულმა კოკო შანელმა შეძლო დაემსხვრია სტერეოტიპები. ის მოდის ისტორიაში შევიდა როგორც ქალის ტანისამოსში მამაკაცის სტილის შემომტანი. მან პირველმა შემოიტანა ქალებისთვის ტანისამოსის თავისუფალი სტილი, შექმნა თანამედროვე ქალბატონის მოდური სახე. პირველმა მოიფიქრა საცურაო კოსტიუმის მოდელი, პირველი გაირუჯა მზეზე სტილისთვის, უარყო კორსეტი, ბიჭურად შეიჭრა თმა და ასეთი გამოწვევით მსოფლიო შოკში ჩააგდო. მან ძვირფასი თვლები ყალბით შეცვალა და „იაფფასიანი" ბიჟუტერია დახვეწილი გემოვნების ნიშანი გახადა. ქვედაბოლო სიგრძეში დაამოკლა და შემოიღო შარვლები ქალბატონებისთვის, თუმცა თვითონ იშვიათად იცვამდა. თვლიდა, რომ ქალი ვერასოდეს მოიხდენს შარვალს ისე, როგორც მამაკაცი. სტილი გამომხატველობითი ენაა. რას ნიშნავს ტანსაცმელი და როგორ აღვიქვამთ საკუთარ თავს? როგორ აღგვიქვამენ სხვები? როგორ ახდენს გავლენას საქციელსა და განწყობაზე? ყოველივე ეს ფსიქოლოგიის აქტუალური განსჯის საკითხია. საინტერესოა ამ მხრივ ფსიქოლოგების დაკვირვება და კვლევა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაატარეს შემდეგი კვლევა: ადამიანთა ჯგუფი გაყვეს 2 ნაწილად, ერთ ნაწილს ჩააცვეს ექიმის თეთრი ხალათი, ხოლო მეორე ნაწილი ყოველდღიური ტანსაცმლით შემოსეს. დააკვირდნენ მათ საქციელს პრობლემურ ვითარებაში, როდესაც დაზარალებული ადამიანებისთვის დახმარების გაწევა იყო საჭირო. თეთრხალათიანი ექსპერიმენტის მონაწილენი უფრო მზრუნველობითა და ყურადღებით გამოირჩეოდნენ დეტალების მიმართ, ვიდრე ყოველდღიური ტანსაცმლის მატარებელი მონაწილენი. თეთრი ხალათისადმი ფსიქოლოგიურმა დამოკიდებულებამ, იმ ფაქტმა, რომ ისინი შინგანად თავს ექიმად წარმოიდგენდნენ, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მათი საქციელი.

ადამიანთა გემოვნებაზე და არჩევანზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი. მათ შორის აღსანიშნავია ტელევიზია, ცნობილი ადამიანები, ინტერნეტი და ა.შ. მაგალითად, Ray-Ban-ის ფირმამ, ფილმი „Men In Black"-ის შემდეგ, იმაზე მეტი სათვალე გაყიდა, რასაც საშუალოდ ყოველ წელს ყიდდა.

მოდა აერთიანებს ყველა სოციალურ ფენას, ასაკობრივ ჯგუფსა თუ ინდივიდს. რა დამოკიდებულება არსებობს მოდასა და სტუდენტობას შორის? არსებობს თუ არა გარკვეული კრიტერიუმები ან ტენდენციები, რომელთა მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს სტუდენტმა გარდერობის შესარჩევად? სტუდენტობა ის ასაკია, როცა ადამიანმა მაქსიმალურად უნდა მისცეს გასაქანი საკუთარ, ყველაზე გიჟურ ფანტაზიებსა და იდეებს ჩაცმულობის თვალსაზრისით. წარმოიდგინეთ, სტუდენტებს არ უხდებათ ყოველდღე სამსახურში სიარული, უფროსის „რენტგენული" მზერის ქვეშ არ უწევთ გავლა მათ ყოველდღიურ სამოსს, არ აწუხებთ მომაბეზრებელი კორპორატიული დრესკოდის სიმძიმე, არ ფიქრობენ დილით იმაზე, ზედმეტად მყვირალა ფერის ლაქი ხომ არ უსვიათ ფრჩხილებზე. აქედან გამომდინარე, სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ ნაყოფიერად ყველაზე კრეატიული, თავისუფალი და გიჟური წლები, მისცენ ფანტაზიას გასაქანი და ჩაიცვან ყოველთვის ისე, რომ ყველასგან გამორჩეული და ორიგინალური იყოს მათი იმიჯი! ამ მხრივ საინტერესოა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტის მოსაზრება. ისინი გამოირჩევიან ინდივიდუალური სტილით და გააჩნიათ საინტერესო და ორიგინალური შეხედულებები მოდაზე. გთავაზობთ ინტერვიუს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოსოფიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტთან, ***მარი ნაკაშიძესთან:***

— მარი, რას ნიშნავს თქვნეთვის მოდა. მისდევთ მას?

— მოდა ჩემთვის კულტურის ნაწილია, რაც დროის მიხედვით იცვლება, თუმცა გარკვეული ტენდენციები დროთა განმავლობაში უკან ბრუნდება.

მოდას არ მივსდევ, რამდენადაც მოდის ყველა ტენდენცია ჩემთვის არ არის მისაღები. ჩემი აზრით, „მოდაზე აყოლა" უფრო მასზე დამოკიდებულებაა და არა გააზრებული ქმედება. მიმაჩნია, რომ უმჯობესია ადამიანმა შეიქმნას თავისი ინდივიდუალური სტილი, ვიდრე გახდეს მასობრივი სტილის (მოდის) მიმდევარი, რაც თავის მხრივ ადამიანების გაერთფეროვნებას იწვევს.

— როგორ ფიქრობთ, ადამიანები, რომლებიც განსხვავებულად იცვამენ, ამით თავიანთ ინდივიდუალიზმს უსვამენ ხაზს თუ, თუ ეს სპონტანურად მოსდით, უბრალოდ შინაგანი გამოძახილია, გარკვეული სულიერი მდგომარეობა...

— ორივე შემთხვევა დასაშვებია, თუმცა განსხვავებულ იმიჯს ხშირ შემთხვევაში სნობი ადამიანები იქმნიან, ეპატაჟურობის, განსაკუთრებულობის ხაზგასასმელად თუ გარკვეულ სოციალურ ფენებში თავის დასამკვიდრებლად. განსხვავებული იმიჯი შეიძლება გამოიყენო სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის პროტესტის გამოსახატავად. რა თქმა უნდა, გარეგნობა შინაგან მდგომარეობაზეც მეტყველებს, ამიტომ თუ ადამიანი საკუთარი ხასიათის შესაბამისად არჩევს ტანსაცმელს, შესაბამისად მისი ფსიქოპოტრეტის წაკითხვაც ადვილია.

—თქვენ რომელს ანიჭებთ უპირატესობას — CHANEL-ის 1 ჩანთას თუ უცნობი ბრენდის საკმაოდ ლამაზ და მოდურ 5 ფეხსაცმელს?

— ჩემ მიერ შექმნილ სამოსს ან აქსესუარს.

— ჯინსი საუკეთესო გამოსავალია?

— უალტერნატივო.

— ყველაზე გემოვნებიანი ცნობილი სახე?

— მუამარ კადაფი (მართლა).

— გემოვნებით ჩაცმა არის თქვენთვის მსუბუქი ფსიქოთერაპია?

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში კომფორტულად და არამეინსტრიმულად ვგრძნობ თავს.

— სტუდენტის იდეალური ჩაცმულობა...

— სტუდენტი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სტატუსის მქონე ადამიანი, საკუთარი სურვილისამებრ უნდა იცვამდეს. ამისათვის მკაცრად განსაზღვული სტანდარტი არ არსებობს. თუმცა არის ერთი სტანდარტი (ჩემთვის): სტუდენტი არ უნდა იცვამდეს ქართველი სტუდენტების მსგავსად! ვგულისხმობ ზედმეტად მაღალ ქუსლიან ფეხსაცმელს და საღამოს კაბას (გოგონებისათვის), წვეტიან „ლაკის ტუფლების" და „სმოკინგს" (ვაჟებისათვის).

აქვე საინტერესოა ტურიზმის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის **ნონა მარკარიანის** მოსაზრებები და დამოკიდებულება მოდისადმი. მისთვის მოდა მიმართულების მიმცემია. აღიარებს, რომ ნაწილობრივ მისდევს კიდეც. მისივე თქმით, ინდივიდუალური სტილი არის შინაგანი გამოძახილი, გარკვეული სულიერი მდგომარეობა. მან პირველად მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი 18 წლისამ ჩაიცვა და დღემდე უპირატესობას კედს ანიჭებს. ნონას მოსაზრებით, აქსესუარის მთავარი დანიშნულება ქალის გალამაზება არ არის, ის უბრალოდ ავსებს სამოსს, აძლევს გარკეულ სტილს და სძენს ინდივიდუალურ შტრიხს. აქსესუარის ასეთ დატვირთულ და მრავალფეროვან ფუნქციას ნონა შესანიშნავად იყენებს, რადგან თვითონ ქმნის სამაჯურებსა და ჩანთებს. დიზაინერებისგან გამოარჩევს VALENTINO-ს, ხოლო ყველაზე გემოვნებიან ვარსკვლავად ჯონი დეპს მიიჩნევს. სტუდენტის იდეალური ჩაცმულობა შემდეგნაირად ესახება: ბროგები (ბროგუე), ჯინსები, ჯემპრი, ზურგჩანთა.

მიუხედავად იმისა, ვართ თუ არა მოდის მიმდევრები, ყველას გვაინტერესებს მოდის ტენდენციები. მოკლედ გავეცნოთ თუ რა სტილი იბატონეს 2013 წელს: ჩინური კალენდრის მიხედვით შავი წყლის გველის წელია, ამიტომ წლევანდელი მოდური ტენდენციები უმეტესწილად ბრჭყვიალა, მბზინავი ქსოვილით შექმნილ სამოსს ან ბისერებითა და თვლებით გაწყობილ ტანსაცმელზე იქნება დაფუძნებული. მოდის კრიტიკოსები გვირჩევენ ვატაროთ მეტალებით გაწყობილი ფეხსაცმელი, ხავერდის მოსასხამები, ფანქრის ფორმის შუალედური სიგრძის ქვედაბოლოები, ძველებური აქსესუარები და ლიპებიანი პიჯაკები. ფერებს რაც შეეხება, ამ მხრივ ტონალობა მუქი შავიდან მომწვანო ჭაობისფერსა და მოცისფრო-მტრედისფერს შორის იმერყეევებს. სილუეტის მხრივ, თავისუფალი ფორმის მქონე სამოსი აქტუალობით იქნება გამორჩეული.

ინდივიდუალიზმი, აი რა ხსნის მარწუხებს მოდას და აქცევს ხელოვნებად. სამოსი არა ხელოსნობის, არამედ ხელოვნების ნიმუშია. ეძებეთ საკუთარი თავი, იპოვეთ სტილი და გაბედეთ უწოდოთ საკუთარ თავს ხელოვანი.

ბოლოს კი Yves Saint-Laurent-ის სიტყვებს მოვიშველიებ: „მოდა ქრება, სტილი კი მარადიულია".

ანა დიასამიძე,
ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მესამე კურსი

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან ბორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე
უჩა აბრამიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში"
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7